

ფარსადან გორგიჯანიძე

და

მისნი შრომანი

გამოცემა

მ. ჯანაშვილისა

ტფილისი 1896
სტამბა მ. შარაძისა და აბს., ნიკოლ., № 21,

ფარსადან გორგიჯანიძე

და

მისნი შრომანი

შ ი ნ ა რ ს ი: ფარსადან გორგიჯანიძე და მისი დრო (მოკლე მიმოხილვა). – ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი. – ანჯანის ანბანი. – ამბავი ოსმალეთის ხელმწიფეთა. – მაჰმადიანთა სასჯულო წიგნი (ბიბლიოგრაფია). – ასოთსამღერელი (თავი და ბოლო). – დამატება: კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები.

გ ა მ ო ც ე მ ა

მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა

სახელი ქართველებისა ციაგშია, დაჩრდილულია. და ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ჩვენი „სამკვიდრო“ ჯერ არა გვაქვს რიგიანად შესწავლილი: ზოგიერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა თითქმის განუმარტველია, მრავალი საყურადღებო კითხვა ისევ ამიცანად ითვლება და სხ. საქართველოს სრული ისტორიის გამოსახატავად საჭიროა შესწავლა: ქ ა რ თ ლ ი ს - ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა (სამხედრო ისტორია), ს ი გ ე ლ - გ უ ჯ რ ე ბ ი ს ა (შინაური ცხოვრება საზოგადოდ), მ ე გ ლ ე ბ ი ს ა (ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა ფ უ ლ ე ბ ი ს ა (მეფეთა სურათები, ჩაცმულობა), ხ ე ლ ნ ა წ ე რ წ ი გ ნ ე ბ ი ს ა (მწერლობა საზოგადოდ: ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთ - მრიცხველობა, გეოგრაფია, სჯულდება, ხელთა - ქორონიკონი, და სხ.), ზ ე - პ ი რ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი ს ა (ლეგენდები *, თქმულობანი, შელოცვანი, ზღაპარნი, გამოცანანი, ასოთ-

*) ზოგი ლეგენდები შეტანილია თვით მატიაწეშვიდგ. მაგ. ბერაის მე X საუკ. ქრონიკაში სწერია (თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 38): „უწყებულ იყო შენ, მეფე, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და ქუხილნი ჳმითა ჳაერისადათა, და იძვრინ ქუეყანად სიმძაფრითა მისითა, და რბიოდიან მეხისტეხანი კუალსა მისსა; ეგზნებინ ცეცხლნი გულისწყრომითა მისითა; ანუ ოდეს ფეიქრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა და შეიძრის ყოველი ქუეყანად, ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი“.

სამღერელი და სხ.), ქ ა რ თ უ ლ ი ს ე ნ ი ს ა (ძველი სახელები დღეებისა, თვეებისა, სოფლებისა, ქვეყნებისა და სხ. და სხ.) და უცხოელ მწერლების ნაწერებისა და მეზობელ ხალხების გადმოცემა-თქმულობათა შესახებ ჩვენის ქვეყნისა და ერისა.

„თუ ერის კულტურა გაიზომება მის მიერ შექმნილ და შეძენილ სამწერლო ნაშთების რაოდენობითაო, – ამბობს მ. ბროსე, – იმაზედ ადვილი აღარა არის-რა, რომ საქართველოს კულტურა ძლიერ მაღლა დავაყენოთო, რადგან ამ ერს შეუქმნია და შეუნახავს აუარებელი რიცხვი შესანიშნავ ხელნაწერებისა“. ახლა, წარმოიდგინეთ, თუ ესე იყო ბროსეს დროს, რა უნდა ვსთქვათ დღეს, როდესაც ცაგარლისა, ბაქრადისა, იოსელიანისა, „წერაკითხვის საზოგადოებისა“ და სხ. მეოხებით ქართულ ხელნაწერების რიცხვი გადიდდა, გამრავალათასდა და ეს მრავალათასიც, როგორც შენიშნავს ერთი მეცნიერი,

ჯერ იმის ნახევარიც არ არის, რაც გვაქვს და შე-
მოიკრიბება ნელ-ნელა და თანდათან.

„ბევრჯელ გაგვიგონია ერთი რიგიანი ისტო-
რიკოსი არ გამოგვივიდა, რომ დაგვიწეროს სრული
ისტორია ჩვენი მამაპაპებისაო. ამისთანა მამულის-
შვილთ ავიწყდებათ, რომ ერთი კაცი, რაც უნდა
იგი საისტორიკოსოდ იყოს მომზადებული, მაინც
სრულს ისტორიას ვერ დასწერს დღეს. და ვერ დას-
წერს იმიტომ, რომ ზემორე ხსენებულნი დარგნი

-4-

ჩვენის ცხოვრებისა ჯერ სავსებით არ არიან გამო-
ქვეყნებულნი: სიგელ-გუჯარნი ლპებიან სხვა და
სხვა დავთარხანაში, ხელნაწერი წიგნები ჯერ ხუთი-
ექვსიც არ არის დაბეჭდილი, სახალხო სიტყვიერება
რიგიანად არ არის გამოკვლეული, ქართული ენის
ზრდისა და განვითარების ისტორია არ ვიცით და სხ.
და სხ. სხვაგან ყველა ამას იკვლევენ აკადემია-უნივერსი-
ტეტნი, გუნდნი მეცნიერთა და ფილოსოფოსთა. თვით
მთავრობაც კმველის მათ ფულითა და სხვაფრივ.
ამას შემდეგ აბა როგორღა ვამბობთ, ხეირიანი ის-
ტორიკოსი არ გამოგვიჩნდაო! არც გამოგვიჩნდება,
ვიდრე ყველა ქართლოსიანნი ხელი-ხელს არ ჩავს-
ჭიდებთ ერთმანეთს და არ შევუდგებით აღდგენას,
ჩვენის ცხოვრებისას, შემოკრებას ჩვენის სამკვიდრე-
ბელისას, ვიდრე არ ვამუშავებთ ჩვენს გონებას, ანუ არ
შევსწირავთ თითო-ოროლა გროშს ¹⁾ ჩვენისავე
ცხოვრების აღდგენის საქმეს, ამ უსაღმთოესს მო-
ვალეობას ყოველის ქართველისას“.

¹⁾ ვიმეორებ, ასრე ვწერდი შარშან და სახეში მყვანდ-
ნენ ის უანგარო მუშაკნი, რომელნიც შესდგომიან საქართვე-
ლოს წარსულის კვლევა-ძიებას და იმოდენი ქონებრივი შეძლე-
ბა კი არა აქვთ, რომ ამ მხრივ მაინც უზრუნველ ყოფილიყ-
ვნენ და მთელი თვისი ძვირფასი დრო მოეხმარებინათ თვის საყ-
ვარელ საგნისათვის. საქართველოს ისტორიის წყაროები გან-
ბნეულია მრავალგვარ მეცნიერულ გამოცემებში და უცხოელ-
თა მატთანებში, რომელთა შექმნა ადვილი და იაფი არ არის.

-5-

ამ საზოგადო შესავალის შემდეგ სიტყვა ჩამო-
ვადოთ ახლა შესახებ ფ. გორგიჯანიძისა, რომლის
ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც ბევრთა სხვა-
თაც, ჯერ თითქმის სრულიად არა გვაქვს შესწავ-
ლილი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში
აღმოჩნდა ერთი ხელნაწერი (№ 174), რომელშიაც
შეტანილნია ფარსადანის დღემდის უცნობნი შრომანი.

ეს ხელნაწერი გადაწერილია სუფთად, მხედ-

რულის ხელით, თაბახიანს თეთრს ქალაღღზე. მიე-
ლი წიგნი შეიცავს 271 კაბადონს. მასში შემდეგი
ქერილებია:

ა) მუსურმანთა სასჯულო წიგნის და ყა-
ნუნის თარგმანება (გვ. 1 – 230);

ბ) ლექსიკონი ქართულ-არაბულ-სპარსული (გვ.
231 – 252);

გ) ანჯანის ანბანი (გვ. 252);

დ) სასიზმრო (გვ. 253)

ე) ასოთსამღერელი (255 – 266);

ვ) ანბავი ოსმან ჯუგისა (ოსმალეთის ხელმწი-
ფეთა) (გვ. 267 – 271).

მიუხედავად ყოვლის ამისა დღევანდელნი ჩვენნი მეისტორიენი
კიდევ ახერხებენ სამსახურს მოჭარბებული დრო მოაბ-
მარონ საქართველოს წარსულის კვლევა-ძიებას და იმუშაონ
შემდგომად. ამისთანა პირნი ღირსნია არა ქირდვისა და
კიცხვისა, არამედ ხელის მომართვისა და გამხნეებისა!

-6-

ამ გამოცემაში იბეჭდება სრულად: ქართულ-
არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ანჯანის ანბანი, ან-
ბავი ოსმან ჯუგისა და აგრეთვე თავი და ბოლო
ასოთსამღერელისა და ბიბლიოგრაფია პირველის წე-
რილისა. მათგან „მუსურმანთა სასჯულო წიგნის და
ყანუნის თარგმანებას“ გარდა ყველა დანაშთენი წე-
რილები ლექსიკონითურთ უნდა ჩაითვალოს ახალ
და დღემდის უცნობ შრომად ფ. გორგიჯანიძისა.

ყოველი მოღვაწის ცხოვრებას კავშირი აქვს თანა-
მედროვე ერის ცხოვრებასთან. ამიტომ საჭირო იყო
ფარსადანის ბიოგრაფიის გაცნობამდე წარმოგვედგო-
ნა მოკლე სურათი საქართველოს ისტორიის იმ ხა-
ნისა, როდესაც მოღვაწეობდა ჩვენი ავტორი, ე. ი.
ისტორია მე XVII საუკუნისა და მე XVIII-ის დასა-
წყისისა. ხოლო ფარსადანის ცხოვრება უფრო და-
კავშირებულია როსტომ მეფის (1634 – 1658 წ.)
ცხოვრებასთან, და ამიტომ აქ ჩავურთეთ მხოლოდ
ისტორიული ნაწილი ამ მეფის გუჯრისა ¹⁾, რომე-
ლიც ნათელს ჰფენს ჩვენი ფარსადანის დროის სა-
ქართველოს ყოფა-ვითარებას, და აგრეთვე ქრო-
ნოლოგიური ნუსხა უმთავრეს შემთხვევათა როს-
ტომის დაბადებიდგან მის გარდაცვალებამდე.

როსტომის გუჯარი.

1) როსტომის გუჯარი იხ. ჩუბინაშვილის ქრისტომა-
ტიკაში, გვ. 197 – 203.

. . . განმამაერთებელმან ქართლისა და კახეთისა, ორისავე სამეფოსა და ტახტისა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმან, ქართველთა, კახთა და სომხითთა, ლორეთა, ვიდრე არეზადმდინ მეფეთა მეფემან, ბაგრატოვანმან, დავით მეფის ძემან ¹⁾, პატრონმან და ხელმწიფემან უმეტესად ჩვენთა გვართა, როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ ²⁾, რაოდენი მადლობა და ქება შევსწიროთ თქვენდა მომართ (ე. ი. ღვთისა, წმინდანებისა და სვეტიცხოველისა), ვითარი ქველის საქმე ვქმნეთ წინაშე შენსა, ესრეთ წყალობა აურაცხელისა, ვითარცა ესერა დღეს ჰბრწყინვენ ოთხნივე კედრონი მეფობისა ჩვენისანი. შეწევნითა ღვთისათა და წინამღვომნი სამამისთა წმინდათა მტერნი და წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან და ნებებითა თქვენითა ვერვინ მკადრე არს წინააღდგომად ჩვენდა, არამედ ჩვენცა გვიცნია და ვცანთ მოწყალება შენი, და ჩვენცა შიში და კრძალვა, უფა-

¹⁾ დავით მეფე (1569 _ 1578) იყო სვიმონ I ძმა. და-
მითმა უღალატა სვიმონს, წავიდა სპარსეთს, გამაჰმადიანდა და იწოდა დაუთხანად (იხ. „საქართ. ისტ.“ გვ. 261 – 265).

²⁾ ლუარსაბი როსტომის შვილი არ იყო, არამედ მუხრან ბატონის თეიმურაზისა. იგი შვილად აიყვანა როსტომმა და თავის ტახტის მემკვიდრედ აღიარა, მაგრამ მტრებმა მოჰკლეს იგი ყარაიას, ნადირობის დროს („საქ. ისტ.“, გვ. 324 – 325).

ლო, შენი გვექონდეს. აწ დავიწყო ამბავისა ჩვენისა მბოზა: ოდეს სიყმაწვილეთა ჟამთა ჩვენსა ბედნიერს შაჰაბაზს ყაენს მახლეს და გამზარდა პატივცემითა, ვითა მართებდა ჩვენთა გვართა მეფეთა ნათესავსა; რა გავაჟკაცდით და მოვაწონეთ თავი სამსახურითა, უყვარდით და უღირდით შვილურად, გვიბოძა ყულარაღასობა; მაშინ იყო ყულთ ჯარი ქართველთა ბედნიერის ყეენის მასახელებელი, სადაც გვსურდის და გავგზავნის, გამარჯვებულნი და პირნათელნი მოვიდით, მრავალი სახელი და გამარჯვება დაგვინახის. ესე ეწადა რომე სამსახურისა ჩვენისა სამუქფოდ ბევრი კარგი ექნა და უფრო სიდიდე მოემატებინა. ამდროს უფროსი ჩვენი ძმა მეფე ბაგრატ ქართლს ბატონობდა ¹⁾ და კახი ბატონი ²⁾ ამავე შაჰაბაზ ყაენისაგან თავის საბატონოდამე გაღარიბებულ-გაგდებულ იყო და კახეთი შიგნითი ოხერი და ნაპირის ალაგი შენი, და ყაენისაგან კახეთიცა იორს აქათი და ჩერქეზს აქათი ჩვენის ძმისათვის ნაბოძები ჰქონდა. მეფობისა გარიგებასა, ნადირობასა, ლხინსა და უხვად გაცემასა შინა იყო. იმ სიდიდისა

დროსა სოფელმან მისი წესი მოინდომა და ამ სოფ-
ლით ჩვენი ძმა ბატონი ბაგრატ მიიცვალა; შეიქნა
ტირილი და გლოვა სრულად საქართველოშია და

1) 1616 _ 1619 წ. („საქართ. ისტ.“ გვ. 302)

2) თეიმურაზ I, რომელსაც გაუოხრა სამეფო შაჰ აბაზ
I („საქართ. ისტ.“ გვ. 296 – 304).

-9-

შვილი მისი იყო ბატონი სვიმონ ¹⁾ გლოვასა და
შეწუხებასა შინა. რაჟამს მიესმა სიკვდილი მეფისა
ბაგრატისა შაჰაბაზს ყეენსა მწვედ ეწყინა და ასრე
დაუშძიმდა, ვითა ძმა ყოფილიყო, მაშინვე გამოუგ-
ზავნა კაცი და სამძიმრის წიგნი შვილს, იმედის მი-
ცემა და წყალობის ქადება დაუწერა. წელიწადზედ
შეიწყალა ბატონი სვიმონ, ყარჩილახან სარდალი
იყო, გამოუგზავნა თავისი ქალის შვილი ბატონს
სვიმონს ცოლად. ესე ყარჩილახან და ათორმეტი
ხანი გამოატანა, ქალაქს მოვიდნენ, რომელსა ეწო-
დების ტფილისი, და ქორწილი უყვეს. იყვის მღე-
რა, ნადიმი ღა მეჯლიში, ბურთობა და ყაბახის
სროლა. რა ქორწილობა გარდაიხადეს, ბძანება იყო
ყეენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტათ და კახეთში
ყოზილბაში დაესახლათ. კახეთს პატრონობდა ბარ-
დის ხანი ფეიქარხან, შეიყარა კახთ ლაშქარი, მივი-
და მუხრანს ალაიანის მინდორში და ყათლამი უყ-
ვეს ღალატით, ერთობილნი კახნი დახოცეს. ეს იწ-
ყინეს ქართველთა ქრისტიანთ უბრალოდ დახოცა.
შეიყარნენ ქართველნი, დაესხნენ მარტყოფში ყი-
ზილბაშთა თავსა, ყარჩილახან სარდალი და უსუფხან
შირვანის ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავალი
დახოცეს, აღივსნეს საშოვრითა ოქროთი, ვეცხლი-
თა, თვალითა, მარგალიტითა, მრავლის უცხოხს ნაქ-

1) მეფე სვიმონ II (1619 – 1629).

-10-

სოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორითა. ამაზედ ჩამო-
იყვანეს კახი ბატონი თეიმურაზ და გააბატონეს
მცხეთას ზედა ქართლსა და კახეთსა. სვიმონ ტფი-
ლისს იჯდა, სომხითს საბარათიანოს ჰპატრონობდა ¹⁾
ჩვენ იმ ჟამში ბედნიერმან ყაენმან თავის ტახტის
ისპაანის მოურაობა გვიბოძა, დიად სიდიდე მოგვე-
მატა. ამასობაში მოვიდა ბძანება ღვთისა და შაჰაბაზ
ყაენმან ტახტი დაცალა და ამ სოფლით მიიცვალა ²⁾
მაზანდარანს, ქვეყანასა აშრაფსა, რომ ყაენის სასახლე
არის და ჩვენ ვიყვენით ისპაანს. ყეენის შვილები და
შვილის შვილები იქ იყვენენ. მრავალჯერ ქნილიყო

წინათ ჟამშია ხელმწიფის მიცვალეზაზედ ერთმანერთი გაეწყვიტათ და მრავალი სისხლი დაღვრილიყოს. ჩვენ ძალითა და შეწევნითა ღვთისათა, გავსინჯეთ საქმე, შვილიც იყო ყაენისა, მაგრამე თავად თვალდამწვარი იყო, სინათლევ ჰქონდა, მაგრამე უფროსი შვილი იყო დიად კარგი, თვალად და ტანად შვენიერი, ხელმწიფობა იმას შეჰფერებოდა, გამოვიყვანე და ტახტზედ დავსვი და მიულოცეთ ხელმწიფობა შაჰსეფის ყაენსა. ვაკვრევინეთ ქარანი და ნადარა, მივსწერეთ შორსა და ახლოს ბძანება თუ: „მოდით და თაყვანისეცით“. მოვიდეს ყოვლის ადგილიდამე ხანები და სულთნები, მიულოცევდეს-

¹⁾ „საქართ. ისტ.“, გვ. 304 – 315.

²⁾ 1628 წ.

-11-

ხელმწიფობასა და აყრიდენ თვალსა, მარგალიტსა წლამდისინ, ადიდეს და მოეწონათ ყოველთა მნახვთა, თქვეს და აქეს: „არ არისო ხელმწიფე ქვეყანასა ზედა ამისი მსგავსიო“. გააკვირვა ყოველი რჯული და სული ლხინითა, ნადირობითა და გაცემითა. გაისმა ქება სიკეთისა ყოველსა ქვეყანასა. ამ დროს წამოეჭიდა ჩვენი ძმისწული ბატონი სვიმონ და კახბატონს ქართლი წაართვა და კახი ბატონი თავის ალაგს იყო, იმავ წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ თავისი ქალი და მისი ყმა ჩარქაზი გიორგი მოღალატედ შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონ დააკვლევინა ¹⁾, ქართლს გაბატონდა, სომხითი და საბარათიანო დაიჭირა. რა გაიგონა შაჰსეფი ყაენმა მწვედ იწყინა, კახბატონს გაუწყრა, ჩვენი საბატონო ჩვენ გვიბოძა, გამოგვატანა ყიზილბაშთ სარდალთ, ჩვენი ძმის ბატონის ბაგრატის სახლთხუცესი, სააკაძე ბეჟანის შვილი როსტომხან და მრავალი ლაშქარი, მოვედით, კახი ბატონი გავადეთ და ჩვენი საბატონო დავიჭირეთ. ბატონი თეიმურაზ იმერეთს შეიხიზნა. ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი ²⁾ და ჩვენ და დადიანი ბატონი ლევან დავმოყვრდით და შე-

¹⁾ თეიმურაზის ასული დარეჯან ცოლად ჰყვანდა არაგვის ერისთავს ზურაბს (იხ. „საქართ. ისტ.“ იგვ. 315 – 316).

²⁾ თეიმურაზმა თავისი სიძე ზურაბ ერისთავი მოჰკლა და

-12-

ვირთეთ და მისი ¹⁾, ეს ბატონი დედოფალი რომე არს, ყოველთა მნათობთა ზედა ქებული. მოვიწადინეთ იმავ წელიწადს ქორწილის ქმნა და გზა არ

დაგვანება იმერელთ მეფემან გიორგიმ, შვეიცარენით აქათ ჩვენ და მივედით სამცხის, ოცხეს დავსდევით, იქით წამოვიდა დადიანი შეყრით და ქალი წამოიყვანა, წიხ გარდუდგა მეფე გიორგი, შეიბნენ და გაუმარჯვდა დადიანსა და დარჩა ხელთ მეფე გიორგი ²⁾. ჩვენც ჩავედით კაკასხიდს იმერეთშია და მობმანდა ბატონი დადიანი, შვეიცარენით და გაგიხარენით ერთმანერთის ნახვითა, ლხინითა და განსვენებითა. წაბმანდა იქით დადიანი და წამოვედით მხიარულნი, იმერეთი ჩამოვიარეთ და მოვედით ტფილისს. ქორწილი გარდავიხადეთ და გულისნებას ვუწიენით. იყო კახი ბატონი იმერეთს, ჩხუბისა და ავის საქმისაგან თავი არ აიღო და არც დასწყნარდა; კახეთში ჩამოვიდა მთის გზიდან, მრავალს ადგილს ჩვენი თავსდასხმა და ღალატი მოინდომა და ჩვენ გაღანამც ბატონის სისხლსა ვსთხოვდით და ქვეყანას ურბევდით და ბევრი ავი საქმე უყავით. ბოლოს შემოვიდნენ შუა კათალიკოზი, ბერები,

მისი მეუღლე დარეჯან ალექსანდრეს მიათხოვა (გვ. 316 „საქართ. ისტ.“),

¹⁾ დედოფალი მარიამ, ქვრივი სვიმონ გურიელისა.

²⁾ იხ. „საქართ. ისტ.“ გვ. 320.

-13-

ერისთვები და თავადები და დანდობის საქმეს შემოგვებვეწნეს, თუ ორს წელიწადამდინ ერთმანერთი დაინდევითო, მასუკან გასამართლდითო, და რაც სამართალმან გიჩინოს ბატონის სვიმონის სისხლი იმ გვარად მოიკითხეთო. დაგვიდვა კახმა ბატონმა თეიმურაზ სანდოთ საფიცრით სოფელი გავაზი და სოფელი ქისისხევი, ჩვენის თავადის შვილებისა და გლეხების მოცემას დაგვჭირდეს, ჩვენ რომელიც საფიცარი მივეციეთ და ან პირობა დაუდევით, ყველაკაი გაუთავეთ და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგვცა არც ერთი არ გაგვითავა. ამაზედან ავიშალენით. აქათ ჩვენ შვეიცარენით და იქით კახი ბატონი. ქისიყის თათრები უჩინეთ. კახი ბატონი თიანეთს მისულიყო და ჩვენ იქით წავედით, შემოვიარეთ, სვეტო ცხოველო, ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და ღალადებით შენგახ შეწევნა ვითხოვეთ, არაგვის პირისპირ შევიარეთ და თიანეთს მივედით. კურთხეულ ხარ, ძლიერო და უძლეველო, ყოვლისა მპყრობელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცსა დაანახვე. შევიბენით და გავიმარჯვეთ; დროშა, ქარანა და ნაღარა გამაგდებინეთ, სახლისხუცესი რევაზ და მრავალი საბატოს კაცის შვილი და სხვა მოკვალით და გავაქცივეთ, უკან მივჰყევით და გრემს

მივედით, სრულად კახნი ჯალაბობრივ იქ იდგნენ, იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით

-14-

და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულ იყვნენ ქისიყის ბოლოს და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონიშვილი დავით მოეკლათ და მრავალი საბატოს კაცის შვილები დაეხოცათ. ჩვენ გრემს ვიდევით, მეექვსეს დღეს ეს ამბავიც მოგვივიდა და კახნიც მოგვივიდეს ბატონს თეიმურაზს ბიძის ჩვენის სვიმონის ქალი ედგა, მოვიდა დედოფალი ხვარეშან ¹⁾ და მუხლს შემოგვეხვია, ამას გვეხვეწა თუ „ერთი წვეთი სისხლი გვაპატივე და შენს სიძეს გზა დაანებეო“. რადგან ბიძას ქალი იყო ჩვენი, აღარა გაეწყობოდარა, გზა მივეცით და იმერეთს გავაგდეთ, კახნი დარბაისელნი ერთგულობაზედ ვაფიცეთ და კახეთი ნასისხლად დავიჭირეთ, ყაენს მახარობელი გაუგზავნეთ და გამხიარულებულიყო, კახეთი ყაენმა გვიბოძა... დაიწერა ესე მტკიცე და შეუცვალელებელი გუჯარი მეფობისა ჩვენისა მეთექვსმეტეს, ქორონიკონსა ტლვ ¹⁾ ხელითა კარისა ჩვენისა სალარო მწიგნობრისა ფირალისათა.

¹⁾ ხვარეშანი როსტომის ბიძის სვიმონის ასული კი არ იყო, არამედ სვიმონის შვილის გიორგის ქალი და მეფე ლუარსაბის და.

²⁾ 1647 წ.

-15-

აი ამ როსტომ მეფისა და მის მეუღლის მარიამის-მიერ იყო აღზრდილი ჩვენი ფარსადან გორგიჯანიძე. როსტომმა მთელი თვისი ახალგაზდობის დრო გაატარა სპარსეთში და იქ შეითვისა სპარსთა ზნე-ჩვეულება. როსტომი რომ ქართლის ტახტზე დაჯდა (1634 წ.), უკვე 67 წლის მოხუცი იყო, მაშასადამე იგი დაბადებულა 1567 წელს. როსტომი იყო უკანონო შვილი სვიმონ I-ის ძმის დავითი. სა. ხოსროს (იგივე როსტომი) დაბადების ხანებში დავით ბატონიშვილმა უღალატა თავისს ძმას, მეფე სვიმონს, ეახლა ყაენს, მაჰმადიანობა მიიღო, იწოდა დაუთხანად, სპარსთა ჯარით წამოვიდა, თვისი ძმა შეიპყრო და წარგზავნა სპარსეთს, თვითოს კი გამეფდა. იგი სამეფო საქმეებს ყურადღებას არ აქცევდა, რის გამო მძლავრი მებატონეები უფრო გაძლიერდნენ და გაამყდნენ. დაუთხანის შემწეობით კახეთის მეფე ალექსანდრემ დახოცა თავისი ძმები, სი-

დამონ სიდამონიძემ ამოჟლიტა თავადნი ბაზლიძენი. ამ დროს სპარსეთს შეესია ოსმალთა ლაშქარი, რომელმაც დაიპყრო თავრიზი, ერევანი, განჯა და შირვანი. მათმა სარდალმა ლალაფაშამ აიღო ტფილისი. სვიმონ მეფე, რომელიც ტყვედ ჰყვანდა ყაენს, გაათავისუფლა შაჰმა და წარმოგზავნა საქართველოში, რათა ებრძოლოს ოსმალთ. ქართველთა და ოსმალთ შორის ბრძოლა დასრულდა მით, რომ სვიმონი ტყვეთ ჩაუვარდათ მტრებს, რომელთაც იგი

-16-

გაისტუმრეს სტამბოლს. გამეფდა სვიმონის შვილი გიორგი. ქართლისა და კახეთის მეფეების შემწეობით შაჰაბაზმა დაამარცხა ოსმალნი და განაძევა იგინი ქართლ-კახეთიდან და ადირბეიჯანიდამ. ოსმალთ დარჩათ სამცხე. ცბიერმა ყაენმა ჩვენ მეფეებს წყალი არ დაუწმინდა. გიორგი მეფეს წაართვა ლორე ბერდუჯის ხეობითურთ და მის მაგიერ მისცა ფუმტუკუნი, ხუინი და სამასი თუმანი (3000 მანათი), რომელიც მეფეს ყოველწლივ უნდა აეკრიფა ლაჯანის (სპარსეთშია) მამულებიდან, ხოლო კახეთის მეფეს წაართო კაკ-ელისენი და მის მაგიერ დაუნიშნა 700 თუმანი, ამასთანავე ლორე-ბერდუჯისა და კაკ-ელისენის ერისთვეები გამაჰმადიანდნენ და იწოდნენ: პირველი მელიქად და მეორე სულთანად. მაგრამ ყაენმა ეს არ აკმარა ქართველებსი შეიტყო-რა, რომ გიორგი მეფის კარს მოსულან რუსთა მეფის ელჩნიო (1604 წ.), იგი განძვინდა და გიორგი მეფე მოაწამლვინა, ხოლო კახეთის სამეფო გვარში ჩამოაგდო შფოთი: ყაენის წაქეზებით დავითმა შეიპყრო თვისი მამა ალექსანდრე მეფე და ძმა გიორგი, ციხეში შეამწყვდია იგინი და მათნი მომხრენი ამოწყვიტა. დავითმა იმეფა 6 თვე და მოკვდა (ალბათ მოკლეს), მისი მცირე წლოვანი ვაჟი თეიმურაზი ყაენს ეახლა და იქ დარჩა. მამა მეფისა და ძმის მოსაკლავად ყაენმა გამოგზავნა გამაჰმადიანებული კოსტანტინე ბატონიშვილი, რომელმაც ყაე-

-17-

ნის ბრძანება შეასრულა. მაგრამ კახელებმა დაამარცხეს კოსტანტინე და მოკლეს. მანკიერმა ყაენმა ჯავრი გულში დაიმარხა და კახეთის მეფობა თეიმურაზს მისცა და გამოისტუმრა (1605 წ.). ამავე წელიწადს ქართლის ტახტზე დაჯდა ლუარსაბი, რომლის და თინათინი შეირთო ყაენმა. მიუხედავად ამ მოყვრობისა, ყაენი თავის ხვანჯს არ ივიწყებდა და სცდილობდა როგორმე დაემხო საქართველო, ეს

რთად ერთი აზიის საქრისტიანო სახელმწიფო, რომელიც რუსეთთან დაკავშირებას აპირებდა. ყაენს არ ესამოვნებოდა არც ის ამბავი, რომ 1609 წელს ლუარსაბმა გაჟლიტა სპარსთა მოწინააღმდეგე თათარხანის ლაშქარი, რადგან თვით ეს გამარჯვებანიშანი იყო ქართველების სიძლიერისა, რომელიც ყოველთვის აფრთხობდა ყაენებს. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროს თვით საქართველოში გაძლიერდა შუღლი, გულმვირობა და ზვაობა მებატონეებისა. ოდესმე მბრწყინავი სკიპტრა საქართველოს მეფეთა ოდნავდა ბჟუტავდა ლუარსაბის ხელში. სამცხე ეპირათ ოსმალებს, ლორე და კაკ-ელისენი სპარსებს, იმერეთი და კახეთი დამოუკიდებლად მეფოდენ, განდგომილიყვნენ გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, არაგვისა და ქსნის საერისთოები; ცხინვალ-დვალეთისა და ტფილისის მოურავი სააკაძე თავზე ბუხს აღარ ისვამდა და ისე განდაალებულ იყო, რომ მეფის მამამძუმქესაც კი დაცინ-

-18-

ვით ეუბნებოდა: „შენსა ხრმალს არა აქვს კვეთა-ახვანი“... აი რაბამ დაკნინებულიყო შარავანდედი ქართლის ტახტოსანისა! მაგრამ ეს ცოტაა კიდევ. აზვავებულნი მებატონენი ყოვლის მხრიდამ გარბოდენ სპარსეთს მაჰმადიანდებოდენ და ყაენის სამსახურში შედიოდნენ. ამგვარ პირთაგან შესდგა აგრედ წოდებული „ყულთა ¹⁾ ლაშქარი“, რომლის მოთავედ – ყულარაღასად ამ დროს იყო ხოსრო მირზა, შემდეგ როსტომ მეფე. მივიღებთ-რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს ხოსრო იყო ძე დაუთხანისა, რომელიც მომხრეობდა სპარსელებს და ეწინააღმდეგებოდა კანონიერ ხელმწიფობას საქართველოში, უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ყულთა ჯარიცა და მისი ყულარაღასიც ეკუთვნოდნენ იმ დასს, რომელსაც ჰსურდა „გაესპარსელებინა“ ქართველნი და მათთვის ნება არ მიეცა ზავი შეეკრათ რუსებთან. 1604 წელს რუსთა ელჩები რომ მოვიდნენ გიორგი მეფის კარს, მათ, სხვათა შორის, დავალებული ჰქონდათ ქართველთა სეფეწულთაგან ამოერჩიათ საქმრო რუსთა ხელმწიფის ბორისის ასულის ქსენიასთვის და სასძლო მის ვაჟის თეოდორესთვის. სასძლოდ დანიშნულ იქმნა მეფის ასული, ხოლო საქმროდ ქსენიასთვის ხოსრო (როსტომ მეფე), რომელიც სპარსეთს გარდიხვეწა. თუ როგორ უყურებ-

¹⁾ ყული ქართულად მონა.

და ყულთა ჯარის უფროსი _ როსტომ მეფე საქართველოს, ამას ნათელს ჰფენს ქართლის ცხოვრება (იხ. გვ. 48): „სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყენისაგან, ვითარცა სხვათა სახანოებთა და მისთვის წარავლინებდა მუნ (სპარსეთს) ყოველთა, და განუწესებდა როქსა და განკვეთილსა, რათა მით არღარა უარჰყონ ქართველთა ყიზილბაშნი“. თვით მძლავრი მებატონეებიც იძულებულ იყვნენ დამორჩილებოდნენ დროის მოთხოვნილებას: ყოველი მშობლიური უარეყოთ, რომ დაემსახურებინათ მოწყალეზა ყაენისა ეს იყო მიზეზი, რომ არაგვის ერისთავი ზაალი ეახლა ყაენს, გამაჰმადიანდა და დიდად შეწყალებულ იქმნა; ყაენმა მას მისცა ბორუდის მამულები ყაზვინის ახლოს ¹⁾. შაჰაბაზი რომ ქართლ-კახეთის ასაკლებად მოდიოდა, მას გამოეცხადნენ არაგვ-მთიულეთის ერისთავი ნუგზარ, ქსნის ერისთავი იესე, ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდიშვილი და ალათანგი ხერხეულიძე. ხოლო სააკაძე, მოურავი ცხინვალ-დევალეთისა და მგლობელი თემის ხეობისა, თვით ყაენს მოუძღოდა. მასადაძე ამ დროს ლუარსაბი იყო პატრონი მხოლოდ ტფილისისა და მტკვრის ვიწრო ხეობისა ბორჯომამდე სომხითითურთ. შედეგი სპარსთა შემოსევისა ჩვენ უკვე ვიცით: განადგურება კახეთისა, გა-

¹⁾ Hist. de la gè., II, p. 511.

ჟლეტა ანუ გადასახლება სპარსეთს 240,000-მდე ქართველისა და დატყვევება მეფე ლუარსაბისა, ქეთევან დედოფლისა, მისთა შვილის შვილთა და მათი ამოწყვეტა გარესჯის მეუღაბნოებითურთ. საქართველოს მებატონეებმა თვისი შეცდომა იგრძნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლევამოსილმა ყაენმა მათი გაქრობაც გადასწყვიტა. მაგრამ გვიანდა იყო. მთელი ამერეთი ისე შეარყია და შეანძრია უღმობელ მტერმა, რომ ხსენებულ წინდაუხედავ მებატონეების თითო-ოროლა მიხდომ-მოხდომა უფრო ამწვავებდა საქმეს, უფრო უმატებდა ჭრილობას დასუსტებულს ერს, და, ვინ იცის, რით დასრულდებოდა ყოველივე ეს, რომ ბედნიერს შემთხვევას წინ არ წამოეყენებინა როსტომი. ამ მეფემ ალაგმა აზვავებულნი მებატონენი და დააწყნარა აფორიაქებული ერი; მას უნდოდა ზავი შეეკრა კახეთის მეფესთანაც, მაგრამ უკანასკნელმა არ ინდომა და, როსტომის მიერ არაერთხელ დამარცხებულმა, ხახ ხონთქარს დაუკრა თავი და ხან რუსეთის ხელმწიფეს.

ჩვენი ფ. გორგიჯანიძეც შვილი იყო ამ დრო-
ისა, რომელსაც კარგად ახასიათებს მისივე სიტყვე-
ბი: „ვისაც ს ა მ ა ლ ა ვ ა თ ერთმანერთან წინგის
მიწერა გინდოდეს, ამას ქვეით რომ ანჯანის ან-
ბანი დაიწერების, იმით მისწერდეთ და მოგწერ-
დენ“. სჩანს, ნდობა აღარსად ყოფილა, რომ საჭი-
რო შექმნილა წინაუკმო წერა.

-21-

ბროსე სწერს ¹⁾, ფარსადანი 1691 წელს 65 წლი-
სა ყოფილაო. მამასადამე ჩვენი ავტორი დაბადებუ-
ლა 1626 წ. ათის წლის ფარსადანს თავი მოუწო-
ნებია როსტომ მეფისთვის, რომელიც მისი აღმზრ-
დელი და მწყალობელი შექმნილა. როსტომსა და
მის მეუღლეს მარიამს ცოლი შეურთავთ ფარსადა-
ნისთვის, მისი ქორწილი უდღესასწაულნიათ 5 დღეს.
ქორწილის ხარჯი ყოფილა მეფე-დედოფლისა. ბრო-
სე ამბობს, რომ ვინმე გიორგი გორგიჯანაშვილი იხ-
სენება 1624 წელსო და მეორე კიდეც 1636 წელ-
სა. ნამდვილად არ ვიცი, როგორ უნდა იწერებოდეს
გვარი ჩვენის ისტორიკოსის ფარსადანისაო. მის
წიგნში ორჯერ ხსენებულია გორგიჯანიძე, გარდა
ამის ანალოგიის გორგიჯანაშვილისა, ოთხგზის მოხ-
სენებულია გორგიჯანიძეო. ბროსე ჰფიქრობს, რომ
ჩვენს ავტორს თვისი გვარი გიორგი ჯანაშვილი გორ-
გიჯანიძედ უქცევია, რადგან 1624 წელს მოხსენებუ-
ლი გორგიჯან-აშვილი სამშობლოს მოღალატედ შექ-
მნილა და ამ მოღალატეობას არ შეეძლო ჩირქი არ
მოეცხო თვით მოღალატის გვარისათვის. ფარსადა-
ნი მორელია და ქართველი, ვინაიდგან, როგორც
ამბობს ბროსე ²⁾, გორგი-დ (რომელიც უდრის გი-
ორგის) სომეხთა მწერლები მუდამ ქართველებს იხ-

¹⁾ იქვე.

²⁾ იქვე. გვ. 510.

-22-

სენებენო. ამის თქმა, ჩვენის ფიქრით, საჭიროც არ
იყო, რადგან ა) თვით ქართველები გიორგის მაგიერ
გიორგის ხმარობენ, ბ) „გიორგისაგან“ წარმომდგარა
გვარი გორგამე და გ) გვარი ჯანაშვილი ხშირად
რთულად იხმარება, ვითარცა: დარეჯანაშვილი, დარუ-
ჯანაშვილი, ავსაჯანიშვილი, ოქროჯანაშვილი, ჯაჯა-
ნაშვილი ¹⁾. თეიმურაზ ბატონიშვილი ფარსადანს ჰხა-
დის გორგიჯანაშვილად, ხოლო ჩვენი ავტორი კი
თავის თავს იხსენიებს ხან ფარსადან გიორგი ჯა-
ნიძედ, ხან ფ. გორგიჯანიძედ. ფარსადანმაო, გა-

ნაგრძობს ბროსე, მიიღო მაჰმადიანობა, მის კვალს მიჰყვა ერთი მისი ძმათაგანიც, მელიქ-სადათბეგი, ხოლო მეორე ძმა კი, ალექსანდრე იყო პირველი ზარაფი (banquier) შაჰისა.

ფარსადანის შესახებ საკმაო ცნობას ვპოულობთ როგორც მის ნაწერებში, ისე სპარსთა და ევროპელთა მწერლების წიგნებში ²⁾. 1653 წლის ახლო ხანს, განაგრძობს ბროსე, ფარსადანი წავიდა სპარ-

¹⁾ იყო კიდევ მელიქ ჯანაშვილი, რომელსაც ერეკლე II-ის მიერ შედგენილი თავადაზნაურთა სია სთვლის ლორის ერისთავების (1602 – 1603 წლიდგან მელიქების) შთამომავლად (იხ. ჟურნ. „ივერია“ 1884, №№ VII და VIII. გვ. 71 „აზნაური ლორის მელიქიშვილი“).

²⁾ იქვე. იხ. აგრეიწთ ლ. ბროსეს წიგნი Bibliographie Analytique, გვ. 259 – 260.

-23-

სეთს ¹⁾, რათა მიულოცოს ეტიმადოვლობა (გამინისტრება) მაჰმედ-ბეგს, რომელიც დადგენილ იქმნა ქალიფა-სულთნის მაგიერ. ეს იყო მალე შემდეგ ლუარსაბ ბატონისშვილის სიკვდილისა, როსტომის მიერ შვილად აყვანილისა. ფარსადანმა ზამთარი გაატარა ლაიჯანს, საცა აკრიბა 300 თუმანი – მეფის გილანის მამულების შემოსავალი. იგი რომ დაბრუნდა, მეფე როსტომმა ისევ წარგზავნა სპარსეთს, რათა, მეფის თხოვნისამებრ, ქართლის ტახტის მემკვიდრედ ყაენს დაამტკიცებინოს ვახტანგ თეიმურაზის ძე. ჰენრი ბრენნერი თავის წიგნში “Series regum Iberiae“ ამ მისიის შესახებ ამბობს, რომ იგი (მისსია) რწმუნებული ჰქონდა viro quem noverat esse regi gratissimum, domino passadano ²⁾.

თვით ფარსადანი სწერს ³⁾: „ყოვლის მორთვითა და გაწყობილ ისპაჰანს ჩამოველ. ბედნიერმან შაჰაბაზ ყაენმან კარგის თვალთ მნახა და დიდი პატივი დამდვა, ასე რომ უფროსი ერთი სადივანბეგოს სამსახურს მე მიბრძანებდა. ესეები დივანთბეგს ეჯავრა და ისპაჰანის ლოთებს ასწავლა, ტყვილად ამიჩვილა და მრავალი ტყუილი მოგონება ათქმევინა. ეს ხელმწიფემ შეუტყო, დააჭირვინა, თვალეები და-

¹⁾ ჩუბინაშვილის თქმით ფარსადანი სპარსეთს წავიდა არა 1653 წ. არამედ 1649 წ.

²⁾ იხ. H. de la gè. P. 511.

³⁾ ქართლ. ც., ნაწ. II. გვ. 538.

-24-

სთხარა და რაც აქვნდა, ყველაკა წაართვა და მე ემიკადასობა მიბოძა და ხუთი სოფელი გულფეიქან-

ში სარჩოდ გამიჩინა. მე ყაენის კარს დავრჩი და ჩემი ჯალაზნი საქართველოში დარჩნენ. ამასობაში... ადრბეჟანის ვეზირისგან ჩაფარი მოვიდა: „როსტომ მეფე გორს მიიცვალაო და ადრბეჟანის ელი შემოფრთხა და არაზის წყალს გამოვიდაო“. ყაენმა დამიბარა და მითხრა: „ფარსადანო, შენ იქაურობა კარგად იციო, ჩაფრად წადიო... იქაური საქმე კარგად გაშინჯე და შეიტყევო და მალე გამობრუნდიო“. ფარსადანი საქართველოში მოვიდა და როსტომი ცოცხალი დახვდა, მაგრამ ფრიად მიუძღურებულ იყო და ლოგინად იწვა. ფარსადანი ისევ სპარსეთს გაემგზავრა და ყაენს აცნობა ყოველივე.

რომ ფარსადანს დიდი გავლენა ჰქონია საქართველოსა და სპარსეთში, ეს მტკიცდება მისივე მოწყოლობით. ერთ ადგილას (როსტომ მეფის ცხოვრება, გვ. 550) იგი ამბობს: „კახეთის ჯანიშინობა ბედნიერმან ყაენმან კახაბრის შვილს გორმასპის უბოძა, ფარსადან გორგიჯანიძის საქმითა“.

მეორე ადგილას იგი სწერს (გვ. 555): „ფარსადან გორგიჯანიძეს ნამეტნავად ხელმწიფე (ყაენი) სწყალობდა, იყო და ვაზირობასა და ქვეყნის სარჩევ საქმეს ჰკითხევდა. კარის უფროსს კაცს შურდათ და გარდავიდნენ (?) და მრავალი ტყუვილი მოუგონეს და ხელმწიფესთან შეაბეზლეს, ვითაც სა-

-25-

ხელო არა ჰქონდა და რასაც ხელმწიფეს ბევრს არ მიართმიდა არასა სთხოვდა და არცა ვისთან ხელი აქონდა. ვინც გარდაეკიდის, წლამდის ვერ გაძლის, შვილი ჰყვანდა დავით სახელად, ყმაწვილი კაცი იყო და თექვსმეტის წლისას ბედნიერმან ყაენმა ბოქაულთ-უხუცობა უბოძა და სიყმაწვილით ლხინის მოყვარული იყო და ამაყი და შეუპოვარი იყო; რამდენჯერ ხელმწიფე ცხენს შეჰდეს, იმდენჯერ მამის მისის მტერობით დააბეზლებდიან და ხელმწიფე არ შეიბეზლებდა“. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფარსადანისა და მისის შვილის დაუთბეგის მტრებმა თავისი გაიტანეს: ყაენის ბრძანებით დაუთბეგი ადრბეჟანის ქალაქ ყუმს გაისტუმრეს. თვით ფარსადანიც სიბერის ჟამს დიდს სიღარიბეში ჩავარდა. მისნი მეყვისნი გულგრილად ეპყრობოდნენ და წამლის ფულსაც არ აძლევდნენ. მტრების ჩაგონებით ვინმე ქართველმა, თამაზმა, თოფი ესროლა ფარსადანს ლა მხარი დაუშავა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ფარსადანი ამბობს: „ნურავის ნუ უყოფთ საქმესა კეთილსა, ნურც შვილს, ნურც ძმას, ნურც ნათესავს, ხოლო ყველას მიაგეთ კეთილისა-წილ კეთილი, და ბოროტისა-წილ ბოროტო რაიც შე-

ეხება დიდებულებს, განიშორეთ იგინი, ვითარცა ნალვერდალნი, თუ არ გსურთ მასში თქვენ დაიხრაკნეთ“¹⁾).

¹⁾ Hist. de la gé, p. 512.

-26-

ფარსადანი მეტად გაამწარა მისმა შვილმა დაუთბეგმა, რომელიც მამას არას უგონებდა, არას ჰკითხავდა, იყო თვისნება და მამის უდასტუროდ შეირთო ცოლი. ფარსადანი დიდის მწუხარებით არიგებდა შვილს და ეუბნებოდა: „გონიერება ყველაზე მაღლა დგას, მაგრამ იგი იშვიათად იჩენს თავს, მეფენი ყოველთვის გონიერ კაცებს ეძებენ, იმისთანაებს, რომელთაც იციან მეფეთა საიდუმლოების შენახვა და მათ წადილთა დაფარვა. ჩვენთა წინაპართა ჟამს ამბობდნენ, რომ სიტყვა იგივე თესლიაო, რომელიც უნდა ღრმად ჩაითესოს, რომ ფრინველთა და მწერთ მას ვერ ავნონ. კარგად დამარხულ თესლს ვერ შესჭამენ ფრინველნი და მწერნი და ინაყოფიერებენ“. ფარსადანი ურჩევს შვილს, უწინარეს ყოვლისა ეშინოდეს სიღარიბისა, როგორც უარესის ბოროტებისა, და აგრეთვე ქონების ბნევისა, რომელიც არის დასაწყისი გაოხრებისა. „თუ შენის შემოსავლიდამ ყოველ დღე იზოგავ თითო დინარს, არ წარწყმდებიო, თუ შემოსავალზე ერთი დინარით მეტს ხარჯავ, იფიქრე, როგორ უშველო შენს თავს“. ფარსადანი ურჩევს შვილს, მთელი თვისი შემოსავალი სამად გაჰყოფ: ერთი ნაწილი მოახმაროს კეთილ საქმეებს, მეორე – გვარეულობის სახსრად გადასდოს და მესამე-სიბერის დამოუკიდებელ საყოფლად გამოიზოგოს.

თეიმურაზ ბატონიშვილი სწერს: „ფარსადან

-27-

გორგი ჯანაშვილი ყოფილ არს განსწავლული კაცი ქართულსა და სხვათა აღმოსავლეთის ენათა ზედა. მრავალთა დროთა და საქართველოდსა სხვათა და სხვათა შემთხვეულებათა დამსწრე, საქართველოსა მეფეთაგან და სპარსეთისაცა კარსა ზედა პატივცემული“¹⁾).

ჩუბინაშვილიცა²⁾ და ბროსეც³⁾ იხსენიებენ მხოლოდ ორს შრომას ფარსადანისას: „საქართველოს ისტორიასა“, რომლის ერთი ნაწილი დაბეჭდილია ქართლის ცხოვრების მეორე ტომში, და თარგმანებას „მაჰმადიანთა კანონებისასა.“ ბროსეც თქმით, ფარსადანს ეს უკანასკნელი შრომა გადმოუღია არა-

ბულ ენიდამ ირაც-არაბის დაბას შუსტერს. ჩვენს ეკზემპლიარში (# 174), როგორც დაინახავს მკითხველი, მოხსენებულნია აგრეთვე სხვა შრომანიც, რომელნიც ფარსადანს ეკუთვნიან. მათგან ქართულ-არაბულ სპარსული ლექსიკონი მას იქვე, ირაც-არაბის უნდა შეედგინოს. ის ეკზემპლიარი „მაჰმადიანთა კანონებისა“, რომელიც ხელში ჰქონია ბროსეს, გადაწერილია ფარსადანის მიერ 1691 წ. ოკტომბერს.

რა დროს გარდაცვლილა ფარსადანი, არა სჩანს. ბროსესი და ჩუბინაშვილის თქმით მისი საქართვე-

1) „საქართს. ისტორ.“ გვ. 284.

2) ქართლ. ცხ. გვ. XVIII.

3) Hist. de la gé. p. II, p. 509 – 514.

ლოს ისტორია სრულდება 1703 წ. ქვემოთ რომ იბეჭდება ოსმალთა სულთნების ქრონიკა, იგი შრომა თავდება არაბთ ქორონიკონს 1089, რომელიც უდრის 1711 წ. (1089 + 622=1711 წ.) გარნა იმავე შრომის ქორონიკონების ჯამი გვიჩვენებს 1701 წელს (იხ. ქვემოთ).

I ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი.

ქ. დიდება. დიდებულსა. არვისგან. გადიდებულსა. ვსთხოვე. ძალი და შეწევნა. მძლეთა მძლესა. მე ცოდვილმან. და უღირსმან. ფარსადან. გიორგი. ჯანიძემ. რომ არაბული. და. სპარსული. და. ქართული სიტყვანი. და სახელნი. თუ. რომელს. რა. ჰქვიან. შესწრებით ამაში დავსწეროთ.

	არაბულად	სპარსულად
ღმერთი	ილჰ	ხუდა
მსწავლებელი	ჰადი	რაჰანმა
ცა	სამა	ასმონ
მიწა	ყაბარ	ზამინ
სადგომი	მაქან	ჯა
ჯოჯოხეთი	საყარ	დუზად
სამოთხე	ჯანათ	ბეჰმტ
საიქიო	ახრათ	ონსარაჰ
ფირტმი	რჰი	შუმ
ყეფა (კეფა)	ჰირა	ყაფა
პირისახე	ვაჯჰ	რუჰ
ბარკალი	ფაყთეზ	რონ
ქუსლი	აყაბ	ფაშნა
ფეჭი	რჯლ	ფა
ლაშები	შაფა	ლბენას

-30-

	არაბულად	სპარსულად
?	ლსონ	ზბონ
პირი	ფამ	დაჰონ
კელი	იედ	დასტ
ყელი	ჰოლყონ	გალუ
ცხენი	ფარას	ასბ
ჯორი	ბაყალ	ასტარ
უნაგირი	სრჯ	ზინ
აქლემი	ბაირ	შუთურ
ეჟვანი	დარაი	ზანგ
კაცი	რაჯულ	მარდ
დედაკაცი	მერჰა	ზან
ტოლი	ზოვჯი	ჯვთ
მორჰმული	ღანი	მალდარ
გლახა	მსვინ	გადა
ქაჰრიზი *)	ყანათ	?
კარბი წყალი	აზბ	აბი ხომ
წყარო	იანბო	ჩაშმა
მყრალი წყალი	ლჰი	აბი განდიდა
საკრავი	ქრონ	უდ
ჩანგი	სანჯ	ჩანგ
შტვირი	მზმარ	ნაი
სინათლე	ზია	როვმანი

*) პირდახურული დრმა ორმო ზაფხულში ცივად წყლის შესანახავად. კეკელისენში ქეპრიზი ჰქვიან.

-31-

	არაბულად	სპარსულად
ნათელი	ნურ	რუმნაი
ცისკიდე	ქრონ	ოფყ
ვაჟკაცი	ფათჰ	ჯვან
ცრუ	ხაფიფ	სუბუქ
მძიმე	საყილ	სანგინ
თეთრი	ზაჰაბ	ზარ
რკინა	ჰადიდ	აჰან
კალა	რსს	არზიზ
ვერცხლის ზოლი	ლოჯინ	სიმ
ჭიქა	ზუჯაჯ	აბგინა
ვერცხლის და ოქ- როს ქანი	მადან	ქან
სპილენძი	ნუჰს	მის
ბრინჯაო	სფრ	რუჰ
ტყვია	ანქ	სურფ
მორთულობა	ჰული	ზინეთ
ძვირი	ყალი	გრონ
იაფი	სახი	არზონი
წმალი	სეიფ	შიმშირ
ფარი	ჯუნა	საფარ
ისარი	საჰმ	თირ
მშვილდი	ყოვს	ქამან
ვული (?)	ასაბ	ფეი
აბჯარი	იალაბ	ჯავშან
ჯაჭვი	დარა	ზრეჰ

-32-

	არაბულად	სპარსულად
საგდებელი	ვაჰყ	ქამანდ
ისრის პირი	ნსლ	ფეიქან
ნიშნი	ჰადაფ	ნშანა
ერკებზი (?)	ხათია	ზეჰქირ
მშვილდის საბელი	ვთრ	ზეჰ
გაზის პირი	მერაზ	თირ გაზ
ნისლი და ორთქლი	უჯაჯ	ყუბარ
ავადმყოფი	ქულუმ	ხასტაგი
სიკვდილი	მოვთ	მარგ
შემძლე	მარა	თონა
სულზე მდგომი	ჰაშაშა	ბაყიიჯან
სარგებელი	რაბა	სუდ
ზიანი	ხუსრ	ნოხსანდ
კერპი	სანამ	ბუთ
კისერი	ჯიდ	გარდან
მკერდი	სდრ	სინა
მუხლის თავი	რუქაბ	ზანუ
თავი	რას	სარ
ჰერანგი	სობ	ჯომა

სარჩო	რზყ	რუზი
საგძალი	ზდ	თუშა
კარი	ბაბ	დარ
ჭერი სახლისა	არშ	სხვფ
სახლი	ბეთ	ხონა

-33-

თვალის სოლავი*)	არაბულად	სპარსულად
ქვიშა	ქჰალ	სურმა
ლამაზი	რამლ	რივ
გონჯი	ჰუსნ	მებული
ხმელი	ყბჰ	ზიშტი
სოველი და ნამიანი	ჯაფ	ხოშვ
მგელი	რთბ	თარ
ლეკვი მგლისა	სურჰონ	გურგ
თაგვი	საამ	გურგ ბეჩა
გმელი	ფაარა	მუმ
თევზი	ჰაჰი	მარ
ფრინავი	ჰუდ	მაჰი
ბურტყელი	თეჰურ	მურდ
თვალი	რიშ	ფარ
ცხვირი	აინ	ჩაშმ
წარბი	უნფ	ბინი
ბალანი	ჰჯბ	აბრუ
ტვინი	შარ	მუ
ქონი	ნაყი	მალზ
ყური	შაჰამ	ფი
ყრუ	უზნ	გუმ
შერიგება	ათრუმ	ქარ
შულლი	ჰოდნა	სოჰლ
	ჰარბ	ჯანგ

*) თვალის ისარი

-34-

დღე	არაბულად	სპარსულად
ღამე	იომ	რუზ
ჯავრიანობა	ლეილ	შაბ
სიცილი	ღაიზ	ხიშმ
ფხანა	ზოჰქ	ხანდა
ქაჩალი	ჰაქ	ხარიშ
მზე	ნყბაჰ	გარ
ტყევნა (?)	შამს	აბთაბ
კოცნა	ნიქ	გაიდან
საცოლ-ქმრო კურ-	ყუბლა	ბუსა
თხევა	მეჰრ	აყდ
მოყვარე	ხუზნ	დოსტ
ქმარი	ზოვრ	შუარ

ცოლი	ზოფჯა	ზან
ულონო	აზჰთ	სუსტ
ხვადი	ფჰალ	ნარ
ხვარბალი	ჰანთაჰ	გუნდუმ
ფეტვი	დუხნ	არზან
პური	ხუბუზ	ნონ
ჯორცი	ლაჰამ	გუმტ
ფესვი	ასლ	ბიეხ
ხის შტო	ფარაჰ	შახიდრახტ
თესლი	ბაზრ	თოხმ
მოსავალი	ყუფუთ	ბარ

-35-

ზღვა	არაბულად ლუჯა, დამა, იამა, ბჰა *)	სპარსულად დერია
სიდრმე	ყარ	თააჰ
სპილო	ფილ	ფილ
მუმლი	ბაყ	ფაშა
ჯეირანი	ზააბ	აჰუ
ვირი	ჰამრა	ხარ
სიტყვა-მჭეშნი (?)	შნშნა	ჰეჯი
ნახვა	შიმა	დიდან
შერიგება	დაბ	ხუი
წვიმა	ყაის	ბარონ
თოვლი	სალჯ	ბარფ
ნამი	სად	ნამ
სოველი	მაბლულ	თარ
ხევი	შათ	რუდხონა
წყლის პირი	საჰალ	ქანარ
მიწის მხენელი	ჰარს	ბარზგარ
სარკმლები	ქვჰ	როფზანა
ზედა სახლი	რვრა	ბალახანა
ზღრუბლი	სადა	ფიშგა
ორღობე	სიჰქ	ქუჩა

*) ზღვასა. არაბულად. ოთხი. სახელი. აქვს.
ფ. გორგიჯანიძე.

-36-

ქალაქის კარი	არაბულად დარბ	სპარსულად დარვაზა
გზა	მაბრ	რაჰ
პერანგი	ბზა	ფეჰრან
ზეწარი	სთრ	ფარდა
ნაჭერი	რუყაა	ფარა
ძველი	რას	ქოჰნა
საპირე	ზოჰარა	აბრა
სარჩული	ბათანა	ასტარ
რკინის ნატეხი	ზაბრ	აჰან ფარა

პურის ნატეხი	ქესრა	ფარჩანონ
ცეცხლის ნატეხი	ჯაზმა	ათემ ფარა
ღვიძლის ნაჭერი	ფლზა	ჯიგარ ფარა
ცხრილის კრკალი	ფრიზ	ჩანზარ
ტანთ - საცმელების		
კელის - გასაყოფი		
სახელოები	ქომ	ასტინ
დოღბანდი *) თეთ-		
რი	სბ	დასტარ
ცოტა	ყალილ	ანდაგ
სათვალავი	ჰასაგ	შმარა
მრავალი	ქესირ	ბიჰად

*) ჩუბინაშვილი ამ სიტყვას სპარსულ სიტყვად სთვლის (იხ. ლექსიკ.)

-37-

	არაბულად	სპარსულად
გათავებული	გფრ	თამამ
ნაკლები	ნყს	ქამ
კალთა პერანგისა	ზეირ	დამანი ფეჰრან
ხონჯარი	თიქა	ბანდი ზირჯომა
ნიფხვის ტოტი	ჯეიბ	იზარა
მაშაია	მუზაა	ქავშ
სამგავროს გარი		
გება	ათად	ქარსაზიი რაჰ
ხიდი	ჯისრ	ფულ
ცხენის ავშარა	მაჰარ	ავსარ
ქხლბქი	ბელად	შაჰრ
ლაშქრის დგომა	მარაქა	ლაშქარ გაჰ
გალავანი	ჰსნ	ჰასარ
მოკითხვის წიგნი	საიფა	ნომა
ძალამი	ხუმა	ყალამ
დანა	სქინ	ქარდ
ნემსი	მახიათ	სუზან
ნემსის	სუფარ	სულახი სუზან
ჰყონი	ლაბიბ	აყლმანდ
მცდარი	ლაბი	გულხურ
ამხანაგი	შაყიყ	რაფიყ
მუსაიბი *)	საჰიბ	იარ

*) ჩუბინაშვილი სწერს: „მუსეიბი (არაბ.), ხმის გამცემი მეგობარი“.

-38-

	არაბულად	სპარსულად
წალკოტი	ჰადიყა	ბად
ჯოხი	საშაბ	ჩუბ
ატამი	ხუხ	შავთალუ
კომში	საფარჯალ	ბეჰ
ვაშლი	თაფაა	სიფ

ბროწეული	რმან	ნარ
ერთი	აჰად	იექ
ორი	ისნან	დუთა
სამი	სალასა	სეთა
ოთხი	არბაა	ჩჰარ
ხუთი	ხამსა	ფანჯ
ექვსი	სთა	შემ
შვიდი	საბაა	ჰავთ
რვა	სამანია	ჰაშტ
ცხრა	თსა	ნოჰთა
ათი	აშრა	დაჰთა
ოცი	აფრინ	ბისტ
ოცდა-ათი	სალასინ	სითა
ოთრმოცი	არბეინ	ჩილთა
ორმოც-და-ათი	ხასინ	ფანჯა
სამოცი	სთინ	შესტ
სამოც-და-ათი	სახეინ	ჰავთად
ორხმოცი	სამანინ	ჰაშტად
ოთხმოცდაათი	თსინ	ნოვად
ასი	მიაა	სად

-39-

ორასი	არაბულად	სპარსულად
სამასი	მაათეინ	დვისტ
ოთხასი	სალასამა	ხესად
ხუთასი	არბამაა	ჩარსათ
ექვსასი	ხამსამაა	ფონსათ
შვიდასი	სთამაა	შესათ
რვაასი	საბამაა	ჰავსათ
ცხრაასი	სამანამაა	ჰაშტ სად
ათასი	თსამა	ნოსად
ღვინო	ალფ	ჰაზარ
გულოვანი	ხამრ	მეი
მჭედარი	ქამი	დილფარ
ნადირი	ფარას	სუარა
ნათესავობა	სეიდ	შქარ
გვარი	ყაბილა	უმეთ
გველი	ფრყა	გრუჰ
ტირიფი	აშჯა	მარ
ვერხვი	ყარაბ	ბიდ
ხურმის ხე	სენობარ	სფიდ დარ
თუთა	ნახლ	დრახტი ხურმა
ქანდარი	ფრსათ	თუთ
ფურცელი	დალბ	ჩინარ
შტო	ვარაყ	ბალგ
ხის ძირი	ხუს	შახი დრახტ
მკბენარი ძაღლი	დოჰა	ბიხი დრახტ
	აყურ	საგი გაზანდა

-40-

არაბულად	სპარსულად
----------	-----------

აქლემი	ჯამალ	შუთურ
ზამთარი	შთასტ	ზმსტონ
გაზაფსული	რაზია	ბაჰარ
ეკალი	შქ	ხარ
ქონარის (?) ხე	სდრ	ქონარ
ღართი ¹⁾	ლაზადა	ნამად
საგანჯური	ლაზდ	მალი ნჰადა
სარწყავი მიწა	აზიყარ	ფარიაბ
სულნელი	ათრ	ბუი ხომ
სასაკმლე	ჯონა	ბუიდონ
ვარდის წყალი	მავარდ	გულაბ
ერთმანერთის ჳე-		
ლის დაჭირვა	თასფაჰათ	გრივთან
დასტი	იექი	დიგარ
დაღლიაება	თონიყათ	ბაღალ გრივთან
გარეცხილი	რახის	შუმტა
უზრალო	ბარი	ბიგუნჰ
მშიერი	ზალულ	რომ
მძინარე	ვასან	ხუვთა
მღვიძარე	იყზ	ბიდარ
მუცელდიდი	ბათინ	შქამ ბზურგ
მაჯარობელი	ბეშირ	მუჯდადეჰნდა
ვირის ყათარი	ჰამირ	ყათარი ჳარ

¹⁾ ღართი, ნაზადი. სვანეთში დღესაც ამავე მნიშვნელო-
ვით ხმარობენ ამ სიტყვას.

შვათანა დედაკაცი	არაბულად	სჰარსულად
ქმარ მოყვარული	ქალიმ	ზანი მიონა
დედაკაცი	არუბ	შუარ ლოსტ
მუცის (?) ფარი	ყრამ	ფარდა
ხონჯარი შალვრისა	თქა	ბანდი შალვარ
აქლემის სადგომი	მარა	ჯაიშუთურ
ცხვრის ხადგომი	მარბაზ	ჯაი გუსბანდ
ჯერნის სამყოფი	ქანას	აჰუგა
ქათარის ბუდე ¹⁾	ვეჯა	ჯაი ქავთარ
ვირის ქერი	ყაზიმ	ჯივი ჳარ
ცხენის ახორი	მალაფ	ახორ
თოფრა	ალიყა	თოფრა
გაფანტული	ნშხალ	ფაშიდა
მეყვისი	ყარაიზ	ყაუმ
შვილი	იზნ	ფსარ
ყმაწვილი	ველიდ	ოფლ
დმდჰ	კალად	მადარ
შვილის შვილი	ვალად	ფერზანდ ჳადა
მამა	აბ	ფეიდარ
წმინდა	ზაქი	ფაქ
მოწყალე	ჰაყი	მეჰრუბან
ელული	მანფი	ფაჰნონ

*) ქაფთარი, აფთარი, მგელკაცა. კაკელისენში ქაფთარ, გელკაც.

-42-

გაცხადებული	არაბულად	სპარსულად
მოციქული	ჯალი	ამქარა
ანგელოზი	რასულ	ფეილამზარ
ცის ბორბალი	მალაიქ	ფრიშთა
მასკვლავი	ფალაქ	ჩარხ
გათენება	ახტარ	სთარა
ცის ჟღრიალი	ფალაყ	სფიდი სოჰფ
გერი ქალი	შაფალ	როვმანი
თავის ქალი	რაზიბა	დუხტარი ზან
ხვადი ბატკანი	ბითნ	დუხტარ
მწველელი ფური	ჰამალ	ბარა
წარი	ბაყარ	გავი მადა
ხბო	სოვრ	გავი ნარ
ნადველა	აჯრ	გუსალა
ღვიძლი	მარარა	ზაჰლა
შორე	ქაბუდ	ჯიგარ
უკან	ბაიდ	დურ
წინა	ვარა	ფას
შვანა	იმამ	ფიშ
შვაგულა	ვასათ	მიონა
ქვეშეთი	ვსტ	მიონშ
ზეიი	თჰტ	ზირ
გურდემლი	ფოყ	ბალა
კვერი	ალათ	სნდონ
საბერველი	ფთის	ფთქ
	მანფაყ	დამ

-43-

ეჩო	არაბულად	სპარსულად
ცული	მანჰათ	თიშა
გვირგვინი	ფას	თაზარ
უწინდელი	თაჯ	ავსარ
მეორე	ნუხუსტინ	ავალ
უკანდელი	სანი	დუმინ
ძველი	ახირ	ფასინ
კაბა	ყამის	ქოჰნა
ძველი ნაჭერი	იელმუყ	ყაბა
ლაჩაკი	რუგუ	ფარჩა ქოჰნა
მწარე	მააჯარ	მენა
უგემური	უჯაჯ	თალხ
მლაშე	თაფაჰ	ბიმაზა
ტკბილი	მლაჰა	შორ
ჩამიჩი	ფორად	შირინი
ალი ცეცხლისა	ზაბიბ	მევიზ
ნახშირი	ხუდრაჰ	შარარა
ნაცარი	ფჰმ	ზოდალ
	რომად	ხაქესარ

ცომი	აჯინ	ხამირ
ფქვილი	დაყიყ	არდ
ანაკვეთი	სფუს	ნობალა
პურთან რაც საჭ- მელი შეიქმება	ადომ	ნონ ხორიმ
შაქარი	შაქარ	ყანდ
მოსართავი	ჰაზამ	თანგ

-44-

საძუე	არაბულად	სპარსულიდ
ლაგამი	თაფარ	ბარდუმ
სადავე	ლუგუმ	ლჯუმ
სასარტყლე	ანონ	ჯილავ
განძი	ნოთაყ	ქამარ
თეთრის მჭრელი	ქნზ	განჯ
მჭედელი	სეირაფ	ზარაფ
მოდგომა	ჰდად	აჰანქარ
მადლის თავი	შთრ	ჯნზ
მუნჯი	ყულა	სარ
ქვაბი	ბაქიმ	გუნგ
გაპენტლი ბანბა	მარჯალ	დიგ
ბარტყი	ნადიფ	ფანბა ზადა
კვერცხი	ფარხ	ჯუჯა
ყურძენი	ბეზა	თონმი მურდ
ლეღვი	ანაბ	ანგურ
სხალი	თინ	ინჯილ
ყვითელი	ქუმსრა	ამრუთ
წითელი	ასფარ	ზარდ
მწვანე	ჰამრა	სურხ
ალისფერი	ახზარ	სბზ
ცისფერი	ვააზა	როგმან
ქვა	არზაყ	ქაბულ
კენჭი	ჰაქარ	სანგ
კევის წყალი	ჰასბა	ზანგ რიზა
	მაი ვადი	აბი რუდხონა

-45-

საჩუქარი	არაბულად	სპარსულად
კარგის ქნა	ჯუდ	ბახშიმ
სწავლება	ჯუდა	ნიქი
თაყვანისცემა	ვააზ	ფინდ დადან
ზიანი	ფეიმონ	სალავათ
გაბედვა და აღარ ქნა	დაზნ	ნობსანდ
უიმედო	ყაბან	დარჰაია
მიძა	ყანა	ბინიაზ
ცოცხალი	ზეირ	დაია
დ) ერთად შეყრილი ხმოვანები – უი (მველად) და „ვი“, (აწ) – კაკ-ელისენში გადაქცეულან იმ ხმად რომელიც აღინიშნება ფრანგული ასოთი „u“, ხოლო, ხმოვანები „უე“ (აწ „ვე“) გამოითქმის ისრე, ვითარცა ფრანგულით) „eu“. მაგ.

u: გუირგუინი (გვირგვინი) – გარგან, კუიცი (კვიცი), – კუს, ხუიხუინი (ხვიხვინი)-ხუხან და სხ.

eu: ღვედი (ღუედი) – ღედ, გუერდი (გვერდი) გეარდ, ყუელი (ყველი) – ყედ, კუერცხი – კეარცხ და სხ.

ხან-და-ხან «უა»-ც eu-დ გამოითქმის, მაგ.

სიტყუა-სიტყუა; უი-ს შუაში რომ უხმო იჯდეს
მაინც ეს ხმოვანები ერთმანეთს ელევინ და «ა»-დ
იქცევიან: სულიკი (სვლიკი) – სლუკ; წურილი (წვრი-
ლი) – წრალ; კუნიტი (კვნიტი) – კნატ; ასრევე უე-,ც
მაგ: კუნეტა (კვნეტა) – კეატა, კუნესა (კვნესა) –
კნესა, ხურეტა – ხრეტა.

შენიშ. ხმები eu და u არიან აგრეთვე სვანურსა,

-90-

უდურსა, წახურულსა და ლეკთა ენებში.

ე) ხან-და-ხან მარცვლები (სიტყვაში) ერთურთის
მიბადვით ერთნაირად გამოითქმიან, მაგ: ომოდ (ამო),
ჩომოდ (ჩამო), მეუზეურ (მოზვერი), კარუშტავ (კვი-
რისტავი), euზუი (ეზო), სარსულად (სირსველა).

ვ) პირველ პირში (ორივე რიცხვებისა) ავი (ალ-
ვი) იცვლება აა-დ: ოდყონ (ავიყვანე), ოდლ (ავი-
ლე), წოდყონ (წავიყვანე) და სხ.

ზ) შესმენილს ბოლოში ებმის „ყ“, რომელიც
ზოგჯერ უდრის „ხოლმე“-ს და ზოგჯერ აღნიშნავს
პიროვნებით ნაცვალსახელს, მაგ: ვჭომყ, ვჭამ ხოლ-
მე; მაქ, გაქ, აქ, გოქ, გაქოყ, აქოყ, (გაქვთ, აქვთ).

ეს «ყ» უდრის სვანურს «ხ», მაგ.

მყავ, გყავ, ჰყავ, გვყავ, გყავაყ, ჰყავაყ.

მაყა, ჯაყა, ხაყა, გვაყა, ჯაყახ, ხაყახ (სვანურად).

მინდ (ა), გინდ (ა), ჰუნდ (ა), განდ, გინდაყ, ჰუნდაყ,
მაკუ, ჯაკუ, ხაკუ, ნაკუ, ჯაკუხ, ხაკუხ (სვ.)

ვარ, ხარ, არი (ს), ვართ, ხართ, არიან.

ხვარი, ხარი, არი, ხვარიდ, ხაროდ, არიხ (სვან)

„ყ“-ს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც: „გა-
კეთებინებთ“ რომ ვსთქვათ, ვერ გავიგებთ აქ რომელი
ნაცვალ სახელია ქვემდებარედ, მე – თუ ჩვენ. ამ გაუ-

-91-

გებრობის ასაცილებლად იხმარება ყ: გაკეთებინებყ,
ე. ი. მე თქვენ, – და გაკეთებინებთ, ე. ი. ჩვენ თქვენ.

ფ) მრავლობითი რიცხვი წაჭურულისა და ყუბაჩის
ლეკთა ენებში სწარმოებს მარცვლებით „ბა“, „ბე“,
„თე“, „ბუ“; ყუბაჩურად: ჯალ (სახლი), ჯულ-ბა (სახლე-
ბი), უსულ (ხე) – უსულბა (ხეები), ადამთე (კაცები, კაც-
თა), უცბე (ძმები); წახურულად: მუჯ (მუხა) – მუჯ-ბი,
(მუხები), სუვა (მთა) – სუვაბი, არაბა (ურემი) – არა-

ბაბი ჰედ (ჰედა) – ჰედბი(დედები), იაჰ (გბა) – იაჰბი (გზები).

შენიშ. უდური სიტყვები დანიშნულია ასოთი «უ» და წახურული – „წ“ აქა-იქ მოგვყავს აგრეთვე მეგრული და სვანური სიტყვებიც, რომელიც აღნიშნულია ასოებით „მ“ და „ს“.

აზლაყ, უფერული ცხენი, ქათამი (ნახე საბას ლექსიკ. „ამლაკი“).

აგებად, გება; ს. ლი-გემ, უ. ჰება.

აკლანზვა (კლანზვა), დამკლავება; აიკლანზა, დამკლავა ანუ დაიკარწახა; გურ. აკაპიწება

ალაფ, საქონლის საკვებავი (ბზე, ბურდო, თივა და სხ.).

-92-

აკალკა, მიწის პირიდამ ბალახის მოპარსვა მჭრელი ბართა და ადგილის გაკალოვება.

ამ დროს, სვ. ამ დრეუს, უ. მე ვადა.

ამაჰწვეელ, აღმართი გზაზედ (ამოსასწვეელი).

ამოგდინგავ, ამოგადებ ძირიან-ფესვიანად.

ამომურვა: კალთად, ომომპურა, კალთა ამოუხვია.

ამ (ამს), ის (აის); ამს მინაა? ის ვინ არი? ამს თამს, ის მთაა.

ადლ } აილე; } ოდლ } ავილე; } წოდლ } წავილე;
ადტან } } ოიტან } } წოდტან } }

გოდლ } } გავიტანე, ავიტანე; } მაილ } } მოიტანე.
გოდტან } } მაიტან }

ადყონ, აიყვანე; ოდყონ, ავიყვანე მოდყონ, მოვიყვანე, მადყონ, მოიყვანე, მადყონა, მოიყვანა. წოდყონ, წოდყონ, წადყონა, წოდყონით, წადყონით, წადყონეს.

აჟანკერ, არჯაკელი.

არამერად, არამარა.

არანი-ქარ, არანის მხრის ქარი.

არდევა (დევ), დევი სვ. დავ.

ასტა, ასცდა; დაასტინა, დააცდინა, შესტა, შესცდა.

ასტამ, ასტამი, სვ. ასტამ, უ. ისტამ.

აყარ, სხვენი, чердакъ (საბას ლექსიკონში: „აყარი, სხვენის ლატანი გინა საკიდური«). (მყვები.

აყოლად } } ნუ მეყოლები } }
} ატყდომა; } } ნუ ამტეხიხარ, ნუ

ატეხებად
ახლ, ახლო.

ნუ მეტეხები

-93-

ასლი-წილ, დანიშნულ-დაწინდული ქალის მოსაკითხავი
ბაზბალ, დიდდუმინი ვერმი. (კერძი

ბათათ, მსუნაგად მომტორავი, ბათათა.

ბაკანი, დიდი პინაკი; კუმბაკანად, კუს ბაკანი, სარ-

ქველი; სვ. ფასკან, ჯამი; უ. პინაკი

ბალ, ბალი; მ. ბული, ს. ჰებ, უ. ბაჰი, წ. ბალი.

ბალღუნჟ, ბალღოჯი.

ბანგლ, ბანჯგვლი, წვრილი ბეწვი.

ბანდ, ცხელი ქვაბის შესადგამ-გადმოსადგამი ნაჭრები

ბაწარ, მატყლის ძაფი, ღაზლა.

ბებერ, დედაბერი; მ. დედიბი, ს. დედბერ.

ბებრად, ბებია, დიდედა.

ბზიკ, კრაზანა, оса; მეგრ. და გურ. ბზიკი.

ბზიტ, (ნიშნის გება-დაცინვა-დაქადებით დამუქრებუ-
ლის გასტუმრება). ბზიტ, ალბად, წარმოსდგა

სიტყვიდამ აბზუება, ბზ!, ბზუკ!

ბიზად, ბიძა; მ. ჯიმალი (ძმადი?), ს. ბუბა.

ბიად, კომში, ბია; უდურ. ფუშა.

ბიბილად, ბავშვთა ენაზედ ლამაზი.

ბიდ კატის უღვაში.

ბლენ, ბნელი.

[теніе.

ბოლქვი (საბას. ლექსიკა) – луковица, луковичное рас-

ბოლებად, ძლიერი ცხელება, (ანთება?) (ნაჭერი.

ბორტოდ, გორახი, комъ; ბორტოდ, კაზალა (ყველის

ბოქვენი (საბას ლექსიკი), უ. ბუქუნ, წ. ჰუქუნ, მ.

-94-

ქვარა (ქორა), ს. მაჭიკ (შეად. გაჭიკნული,
როჭიკი, მაჭიკი).

ბოლოდად, ღაბუა (ქათამი).

ბოღრიალ, ყვირილი ირმისა ანუ ღმუილი მოზვრისა.

ბრედ ბრინჯისაგან (ჩალთუქისაგან) გაცლილი კანი.

ბრეკ, დაბრეკულ, косолапый.

ბრინჟ, ბრინჯი, უ. ბირინზ; ბრინზ.

ბრულ, მაცვლისა ან ეკლის დაბურული ბუჩქი, ბარდი.

ბუდრუგუნად პაწია ქოხი, будка; გურ. ოქოქი.

ბუკ, ბუ; მ. ბუ (ღუ), ს. ღორღოლ, უ. გუგელ,

ბუზან, მუმტი (სპარს), ს. ჯუგმარდ. [წ. გოვაზი.

ბუთქ-ბუთქი, გროვ გროვად აბეთქებული მცენარე.

ბურკელად, ობობა (ბურვა, დაბურვა), გურ. ბორ-

ბურნა, ქინქლა (იხ. საბას ლექსიკ.). [ბალა,

ბურზღუმ, კრიკინა (საბას ლექსიკ. „ბურძღენი, ყურ-
ძნის კლერტი»).

ბურჟულად კუნწულა, ბურჟლული; გურ. ბურჩხი.
ბდუნვა, ბობღვა, ბღუნვა.
გაგად, მიუხვედრი. несмышленный.
გადაბიჭება, გადაბიჯება.
გადა, გადადი, გოდმო, გადმოდი.
გადნაშობ, საშეშედ გადაჭრილი ტყის წარავი.
გალაფა-ყბიან, ნამეტურ პირდიდა კაცი.
გალაღლაღებე, полоскать, полоскаться.
განარებულო, ეკალ შერჭმულსავით გაბრაზებულო,
ახურებულო (გასათხოვარ ქალის შესახებ).

-95-

გად, გადი; გომოდ, გამო, გამოდი.
გარუსპება, შერცხვენა.
გატანებულ, დედუფლის მაყრიონი; გომოტანებულ,
ნეფის მაყრიონი.
გაფრანგდა, საშინლად გაბრაზ-გაცხარდა; გურიაში:
გაიფრანგა, იარალს პირი გაუბრუნდდა.
გაშფოთება, შებმული საქონელი სიცხე-პაპანაქები-
საგან რომ შეწუხდება, გალექდება.
გაჩიება (ჩიება), საიდუმლოს გამხელა; მ. ჩიება.
ბაჩქერება (ჩქერება), გამეტება; როგორ გაიჩქერი?
როგორ გაიმეტე.
გაწინტკა (წინკვა), თითო-თითოდ რომ მოუგო ვისმე
და ხელ-ცარიელი დასვა. გაგწინტ, მოგიგე სრუ-
ლად (ალბად სიტყვიდგან წინდი).
გაჭერვა, გატეხა; გაჭერ, გატეხე; ნაჭერ, პურის ნატეხი.
გელაბრიმად, ანკარა (ქვემძრ.). [ფედიას.
გეარც *], ახლოს; გეარცგეარც, ახლო ახლო; ს.
გზას წასვლა, იოლად წასვლა (თათრ. „იოლა გეთ-
მალ, გზას წასვლა).
გიჟ-გიჟ, ძროხის დასამაკებლად მოზვრის წაქეზება.
გირც, пирожок (მოხარშული).

*) წარმოსდგება სიტყვიდგან გ ვ ე რ დ ი. გ ვ ე რ დ ს ანუ
გ ვ ე რ ც და აქედგან გეარც. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით
იხმარება მესხურ დავითნის ქრონიკაში და იწერება ასე: გუჭრც
(გვ.89.)

-96-

გამოუჟდა, გამოუდგა.
გორ, გვარი; გორ, საიქიო ერთის გვარეულობისა.
გრემა, რჩოლა, (გურემა).
გრიკად, მეგრელა ქათამი.
გრილო, ჩრდილი; საგრილო, ქოლგა (თათრ.).
გრიჩ, სარჩოლად მისევა.
გროშ, დაროშვილი; გროშვა, რომვა (საბას ლექსიკ.
„გროში, მოსხოსავით“), გურ. ხოროში.

გუთან, უ. ქეთან, წ. ქოთან.
გულ, მ. გური, ს. გვი (გუ), უ. უკ, წ. ჰიკ.
გურგურ, ქუხილში, გრგვინვა; უ. გარანება.
გუგომ, (გოგომ), ქალი, გოგო; ს. დინა, უ. სინარ.
გაგან, გუგუნი.
გულანდ, გულადმა.
გულყევამ, შიგნიერობა, გულ-ღვიძლი.
დაამხალა, მწვავედ სცემა.
დაასტინა, დააცდინა; დასტომილ, დაცდენილი (საბას
ლექსი «დასტომილი, დაცტომილი».
დაბაჟრანამ, ბაჯაჯღანა.
დაზურგვა, нагрюзить.
დად, მდადე, მ. დადე, ს. დადუ.
დადაშამ, ზედაშის ქვევრი.
დაკანჭლვა, ავადმყოფობისაგან კაცს სიხმელე რომ
დაემართება.
დაკლიტ, დაკეტე; დოკლიტ, დავიღუპე; ენამ ამამ-
დაკმენა, დაკბენა. [კლიტ.

-97-

დაკოპვა, შახმატის მსგავსად საჩალთუქე ადგილის
დალაჭვა, случка лошадей. [დასერვა.
დაადა, დიად, მეტად; დაადა კამს, უფრო კარგია.
დაორსულდა, ყანა შეთქვირდა.
დაასო, დაივსო, დაიღუპა; დააკლიტა, დაიღუპა.
დაჟ, დაჯე (დაჯექ); ჟის, ზის.
დაქანება, დარხევით ჩამოყრევინება თხილისა, თუთისა,
სხლისა და სხ.
დაყივდა, დაღივდა.
დაყუჟღვა, обнимать.
დაშენა, ცემა; დამიშინა, მცემა.
დაწყობა, შერიგება.
დახრა, ნიგვზის ანუ წაბლის ხის ბღერტა ალატით.
დაკეჩვა, მტვრევა, დაძლევა; მერცხალ დაკეჩ, მერც-
ხალი დაძლიე.
დაჰხტო, დაჰხვდა; დახტომამ, დახვდომამ, შეხვედრა.
დეგუხნა, რასმე რომ ხელი მოავლო და გადისროლო;
გდეგუხნავ, წყალში ტყაპანს გაგადენ.
დენგრ, უტეხარი და შეუვალი ლელი, ბრძამლ-ეკლით
დაბურული ტყე, (საბას ლექს. „დენგრი, ცხოვართ
დასტამბუდ, კუმპულა, დასტამბო. [ნეხვი».
დიდგე, ძროხის მოსატყუებელი ძახილი.
დიჩ, ძროხის გასაგდები ხმა.
დილბარ, ალუბალი.
დიღლაამ, დილა; უ. დამდამ, მიჭედინ.
დინგ, ჩალთუქის საცეხვაკი მანქანა.

-98-

დინყორად (მც.)
 დოგახორხორხ (დაგვახორხორა), რაიმე სანუგბროთი
 მთელი ოჯახი ანუ ამხანაგობა გაგვახარა.
 დომფალ, დომფალი, უკუტოდ გამოხარშული პარკი,
 ხოლო კუტიანად გამოხარშული ყაჭია.
 დოყ, მცენარის ნორჩი ყლორტი. (ნახე ჩუბინ.
 დუდღუბა, გომბიო. [ლექსიკ.].
 დუმბად, ქათამი, რომელსაც ბოლო არა აქვს (აქედ-
 გან დუმბადე).
 დაყ, დიყვი.
 დანქ: მორი, ბოკო.
 დანიად, დუნია, მსოფლიო. იმ დანიაში, საიქიოს, ამ
 დანიაში, სააქაოს;
 დღედ, დღე: მ. დღა, ს. ლა-დღე, უ. ღე (ღი), წ. ჰიდ.
 ენად, ენა; მ. ნინა, ს. ნინ (ლეკურად ნინო, დედა).
 ენატლაკია, პირშეუნახავი, ენატანია.
 ეძხან, სრულიად (ალბად სიტყვითგან ძან).
 ერამუკ, უშობელი ფურკამბეჩი.
 ვაზიზირად, ვაზის ძირა (მც.)
 ვამშუან, тревога, (ვაიშმველებელი).
 გამ-ჰარად-ჰედ, სამგლოვიარო მოძახილი.
 ვარდ, ვარდი; მ. ვარდი, ს. ვარდ, უ. ვარდ, წ. ვარდ.
 ვარიად, ვარია (მამლაყინწას გარდა).
 ვაშლ, ვაშლი; მ. უშქური, ს. ვისგვ, უ. ერ, წ. ერ.
 ვაშკაც, ვაჟიკაცი. გურ. ვაშკაცი (ალბად სიტყვიდ-
 გან ვაშა და არა ვაჟი).

-99-

ვირ, გოდრის დასადგმელი სამფეხა „მაკრატელი“.
 ზალად, ძალუა.
 ზალ, რძალო, მ. ნოსა, ს. თელღრა.
 ზალ, ძალა.
 ზამად, ცოლისთვის ქმრის მამრი ბიძაშვილები (ზამა
 სიტყვიდგან ძმა, ძამია (იხ ზნად.)
 ზამანად, ხანა, эпоха.
 ზაჰყა, კაკალთა შორის ყველაზე მსხვილი კაკალი (ნა-
 ყოფი); ზაჰყა-ზაჰყა, დიდრონი კაკალი ანუ თხი-
 ლი; ზაჰყა, კაკალ-თხილის გასატანი (თამაშობა-
 ში) კაკალი.
 ზგლუნ, скользкий, საგლინავი, ლიპი.
 ზედგარ, ზედადგარი: საზედგრედ, ცეცხლიდგან ზე-
 დადგრის გადმოსადგამი კავი.
 ზემზემ, ზემო მხრიდგან; ქომქომ, ქვემო მხრიდგან
 ზედ, მზე. მ. ბჟა, ლაზურად მჟორა, ს. მიჟ, უ. ბედ,
 ზედ, რძე; მ. ბჟა, ს. ლჯე [წ. ვირედ].
 ზედზედ, ზეე ზევით, сверхъ, черезъ; სახლების ზედზეთ
 გადაფრინდა.

ზედთო, ზემოდგან; ზედთი იქნა, ზენას ძალით იქნა.
ზედრად, ძერა.
ზიანად, რძიანა, მ. ბჟალა, ს. მჰლჯადრა.
ზივ, მძივი, მ. ძია, ს. ძივ.
ზილ, ძილი; მეზინზილებ (ზღაპრებში), მეძინება.
ზინყზე დეეცა, უკანა ტანზე დაეცა.
ზისმა, მზის მადლმა (ფიცილია).

-100-

ზმად, ძმა (ზამად, ძამი, ძამია), მ. ჯიმა, ს. ჯიმილ.
ზომოდთიან, ზემო მხარეს; ქომოდთიან, ქვემო მხა-
ზონზ, ძონძი, ს. ძუნძ. [რეს-
ზროდ, ღერძი, ძრო.
ზროხად, რქოსანი საქონელი; ფურ, ძროხა, ს. ფარ.
ზუნგელად, მოგანგლული.
ზუკ, ძუ; მ. ჯუა, ს. ჯუა.
ზარკ, ძირკვი; ზარკიან კაც, ძირეული კაცი; ომოგ-
ზარკავ, გაგაქრობ, ძირეულ-ფესვიანად დაგკარ-
ზარხანად, ძირხვენა. [გავ-
თავ არ არის, ჯერი არ არის. თავი, ჯერია.
თავარად, წისქვილის ბორბალი.
თავრიალ, საქონლის თავ-ქალას ტყავი.
თავსაპარსი, მკვდარზედ შავების გასახდელი და თავ-
წვერის საპარსი დღე.
თაფლ, მ. თოფური, ს. თვი, უ. უჭ, ითუ.
თეთრ, ფულით თეთრი.
თეთროდ, ბისტი. გურ. სვეტი.
თეჟანად, ჩონგურის დასაკრველი ბლის ქერქი.
თით, თითი, მ. კითი, ს. ფხოლე, წ. ტიბ.
თიან, სპილენძის დიდი თაბახი; უ. თიან, წ. თიან.
თმად, თმა; მ. თომა, ს. ფათვარ, უ. ფოფ (შეადარე
ფაფახ-ს), წ. ჭარ.
თოვშ, თოქშ!
თოლ, მ. თოლი, ხევსურ. თოლი, ს. თე (თეუ)
თორედ, მთვარე, თოარე; მ. თუთა, ლაზურ. თუთა.

-101-

ს. დომდულ. აფხაზ. ამზა; თეუდ, თვე, თთვე;
მ. თუთა, ს. დომდ. აფხაზ, ამზა.
თორიალებად, თვალიერება.
თოხმახ, ხის ჩაქუჩი, გურ. კორკოტანა.
თუარემ (თუარ), თორე (მ), თუარემ; სვ. ადო. თუარ
დაიკოცებიან.
თუთაბალია, მალაღური (ეს სირი „თუთა-ბალია!«-ს
გაჰკვივისო და არა „ბიჭო-გოგიას.“)
თხელ-ხინკალ, ატრია.
თხილს, თხილი; უ. ერეყ, ერეყერ.

თხლაფად, ძან თხელკანიანი ყურძენი.

იკაწივა, (?)

იმაღზედთ, ზეგის მეორე დღე.

იჰო, იჰ!

კაკალ, კავი, крЮкЪ.

კაკალ, კაკალი; უ. უყ, წ. ხეკვარ.

კაკაბ, კაკაბი; წ. გაჰკაბა.

კაკანი, უ. კაკაბსუნ, წ. გაგალა.

კაკარ, კაკარი (ღამე მთვართ ნათელი, საბას. ლექსიკ).

კამმეჩ, კამმეჩი, მ. კამმეში, ლაზ. გომიში, წ. გენიშ.

კამს, კარგია, კაია; კამს, მოვალ, კარგი, მოვალ.

კაპრამ, ყვითელ-მოწითლო (იხ. საბას ლექსიკ.), ნარ-
კარაზანად, (მც.) [გიზის ფერი.

კარკატან, მწვარი.

კარწახ, წენგო. [ეკლის ღობე).

კაწ, ღობეზე სავლელი ბილიკი. შეად. კაწანი,

-102-

კაწად, ხის მომცრო ჯამი.

კაჭად, ნაჭერი ნესვისა და მისთანათა.

კაჭვა, ცელვა.

კდარ, მკვდარი; მ. ღურელი, ს. ლი-დგარ.

კედ (მაბ), მაფი (ოქრომკედი).

კეკრუხ, მოლოტი.

კვერცხეველად, ერბო-კვერცხი.

კეხვად, ნისკარტით ჩაკვრა; ჩაჰკეხა, ჩანისკარტა.

კილან, თიხის პაწია ფიალა, ჯამი.

კიდბან, კიდობანი, ს. კიბდვენ.

კიკომ, ტიკინი.

კინამ, რკინა, ს. ბერეჟ (აქედან გვარი ბერეჟიანი).

კინკილო, თხილის ბუჩქის ყვავილები; კინკილებს,
კონწიალებს. გურ. კვინკვილა.

კირკილ, ჩრჩილი.

კირკნად, კენკვა, გამოკვიკვნა.

კლავ, მკლავი; მ. კილე, ს. მეგარ უ. ქულ, წ. ხი-
ლეჰბი (მკლავები).

კლერტომ, კლერტი. ამოკლერტვად, ხნულის გაწმენ-
და ძირკვებისა და გამხმარ ბალახ-ბულახისაგან.

კნატ, კვნიწი; კნატ, კნუტი, კნოტი.

კოიპა (კოპიჭა), ტანდაბალი კაცი, ჩია კაცი (საბას,
ლექსიკ: „კოპიჭი, მიწა შეყინებული“).

კოლა, მაგიერ; მის კოლა, მის მაგიერ (კოლა სიტყვიდ-
გან კვალი (კუალი); საზოგადოდაც ითქმის მისა
კვალად, მის მაგიერო.

-103-

კოლ, კვალი; დაკოლეს, კვალი გაატხრეს; დაკოლეს,

დაჭლიკეს; კოლსუკან წაუტდა, კვალს გაჰყვა.
 კოლტ-კოლტი, მურკლ-მურკლი; კოლტ, მურკლი.
 კოკო, კვერი, კოკორა.
 კომლ, კვამლი, ბოლი. მ. კუმა, ს. კუამ უ. კუინ.
 კორთედ, თარო (საბას ლექსიკ. «იკორთა, ფიცრის
 თარო»);
 კორკორამ, ბარად სოკოსავით ამობურცებული გორა-
 კორსალამ, ბზრიალა (შეადარე სორსლებას) [კი.
 კოტომ, გრძელტარიანი გოგრის ჭურჭელი.
 კოფხხლ, კუფხალი.
 კრენჩხამ, კრეჭა; გაკრინჩხა, გაკრიჭა გურ. ხუჭვა.
 კუდბაწალა, ყურბელა (იხ. ყურბელა).
 კუდრუცანამ, ცხვრის დუმის კუდი.
 კუდურ, კუდა, უკუდო.
 კული (ტული, ტუგნამ), ტუგია,
 კუნზ, ხის სამფეხა სკამი.
 კუნტამ, კუტი (პური).
 კურკომ, კრკო.
 გურგურამ, გვრიტი.
 კურტ, კრუხი; კურტაბულამ, домохъдъ.
 კუტი, წიწილებიანი კრუხი; (კრუტი, საბას ლექსიკ).
 კუჰკუმ, გუგული; კუჰკუ, გუგუ; ს. გაგუ; უ. კუჰ-
 კუ, წ. დაკუმ.
 კანტალამ, თვალის ფჩხილი.

-104-

კანტახ, კლდისა ანუ აწოწოლავებულ მთის მწვერვა-
 კარამტავ, კვირისტავი. [ლი (კორტოხი?)
 კაც, კვიცი, კუიცი, ქიცივი
 კუჭულამ, ყურიანი ლიტრა.
 ლაგლაგ, უ. ლანგლენგ, წ. ლაკლაგ.
 ლალუმ, ჩჩვილთა საძილე ჭოჭინა.
 ლამ, შლამი.
 ლადლამ, საჭოჭინე ნანინა.
 ლაპარიკ, ლაპარაკი; ლაპარიკობს.
 ლარტამ, ნაკაფი კაკლის ხე საქერქედ,
 ლასტ, ჩელტი, ლასტი წკნელისა.
 ლაფოჩქინამ (ლოფოჩქინა), ლოკოკინა, მ. ფერწო,
 ს. მჰყანც, გურ. ლოქორია.
 ლაფჩინ, წაღა, უ. ლაფჩინ (იმერეთში ყველგან
 ლაფჩინს ამბობენ)
 ლაღოზ, მაღლა და წვრილად აყრილი ხე (ლექსი-
 კონში „ლაღოზა, წვრილი სარი“).
 ლემ, ალალი (ფრინვ.).
 ლექლარ, «ფრაკის» მსგავსი საცმელი.
 ლეულ, ლედვი, მ. ლუდი, ს. ლულ.
 ლეჩაქ, წ. ლეჩაქ.
 ლილი, საამური ლილინი (საბას ლექსიკ. „ლილია,

ჩჩვილთა მიერ ლამაზი).
ლიცლიც, ლიცლიცი (შეადარე. სვან. „ლიც“, წყალი).
ლოგინ, кровать (ნახე საბას ლექსიკ.); ფართალ,
ლოგინი.

-105

ლულედნ, ლულიინი, лейка.
მამზალ, დამაკებულს მუცელი რომ შეეტყობა.
მარაზ, ფოჩებ დაყოლებული წვრილი თოკი
მარჟუნა, მარჯვენა, მ. მარძგვანი, ს. ლარსგვან.
მადეტა, მოიხვეტა, უცბად გაიქც-გადიკარგა.
მასკან, მასკვან, მერმე.
მასკულად, ვარსკვლავი, მასკვლავი.
მალად (მოდ), მოდი; წად, წადი.
მაჩქატელად, ღამურა (საბას ლექსიკ. მაჩქათელი),
გურ. მელამია.
მაჭეკალ, მაჭანკალი.
მეეგდა, მოედო (зацѣпилось); მეეგდა, მოეთრია.
მეზუბელ, მეზობელი (ეზუბედ, ეზო); ს. მეზბეულ
მეზბეურ, მოზვერი, ს. მეზ, მრავლობ. მოზარ.
მელაკუდა, რქაწითელი (ყურძ.).
მემზანაგობად, ქორწილის წინაღამის ვახშმობა ნეფიო-
ნის უახლოეს ნათესავებისა (სიტყვიდგან მზა,
მზაყოფნა).
მემზანაგედ, მემზანაგობის სამახარობლოდ სადედოფ-
ლოსას გაგზავნილი კაცი.
მანა, горшечный чанъ, ქოცო რომ შუა წელამდე
მენაკ, ვენახი.*) [იყოს ამოყვანილი.

*) ვახის სამშობლოდ მეცნიერებს მიაჩნიათ საქართვე-
ლო (იხ. ალგ. დეკანდოლის „Мѣстоприсх. воздѣлывае-
мыхъ растений“, გვ. 191 – 193). ვენახ-ღვინის სახელი ჩვენ-

-106-

მედლან, მეტის-მეტად შავი, მრუმი.
მერანდოდ, მოწითანო ყურძენი.
მერახულად საშემოდგომო სხალი.
მეროვ, რა ვიცი, რა ვთქვა.
მილო, ლამაზო, მოხდენილო (ალერსი კატისადმი).
მინ, ვინ, მ. მინ; მინაა? ვინ არი; მინამ, ვინმე; არც-
მინამ, არავინ.
მიწროდ, ვიწრო, მიწრო, იწრო.
მიხივხივებს, მიიზღაზნება, плетется.
მოკ, მოკვდი; მოვკ, მოჰკ, მოკდო (მოვკვდი, მოჰკვ-
დი, მოკვდა).
მო, მო, მოდო; წად, წა, წადი; მივ, მიდის, მივა
(ლს), მეგრ. მეურს; მოხადეუ, მოხვიდე, მოხვი-
დედ

შიაცა და ზევრგან სხვაგანაც თითქმის ერთი და იგივეა*
vinum (ლათ.) oinos (ბერძ.), vigne (ფრნგ.), вино, виноград-
радика და სხ. ჩვენში „ღ“ ხან ემატება სიტყვებს, ხან აკლ-
დება: ვაჭარი – ღვაჭარი (ხევსურ.) – ღვაჭარ (სვანურ.), ვაჟი –
ღვაჟი (ხევს.) – ღვაჟ (სვ.), ლევა – ლლევა (ხევს), მეტი – ღმეტი
(კაკ-ელ), დღენდელი – დღენდელი (ხევს.) ასვლა – აღსვლა,
ადგომა – აღდგომა, მიაღწია – მიაწია და სხ. და ამიტომაც,
საფიქრებელია, რომ უშუბველეს დროს ან „ღვინო“ (მეგ. ღვინი,
სვ. ღვინალ, დვინელ, კაკ-ელ ღუნე) თქმოდა ვინო-ღ და ან
„ვენახი“ ლემნახ-ად (მეგრ. ბინეხი), და ამ შემთხვევაში ეს
სიტყვა უნდა წარმოებულიყო ასრე: ღვინეხი – ღვენახი – ვენა-
ხი – მენაჯ.

-107-

მოთოლა, ჩამოსთვალა; ჩათოლ, ჩათვალე; ჩათლათ
(по складамъ) წაიკითხ.

მოჟამაბულ, მომწიფებულა.

მოსადრვა, სატანისამოსო ნაჭრის გამოუჭრელად ტან-
ზედ დაიზმანება (სადარი, მოსადარი, შესადარი).

მოსარქლება, პირქვე დამხობა ქვაბისა და მისთანათა;

მოსარქლა, გადმოაბრუნა სავსე ქვაბი ან სხვა

ჭურჭელი; (მოსარქლება სიტყვითან სარქველი).

მოფეხვად, გამოდარება; მოიფეხა, გამოიდარა; ს.

მაფხე.

მოღება, მოტანა, მ. მოღალა.

მრავლი, ბრიალი; თოლებ დაუმრიალა

მუგუზ, მუგუზალი, ს. მულვაზ, გურ. ნუგუზალი.

მურ, მური, ახალ გამოსული პარკის ჭია.

მუხად, უ. მაწნახოდ, წ. მუჯ.

ნამ, ნამი, უ. ნამ, წ. ნამ.

ნავ, ნავი, მ. ნიში, ს. ნავ, უ. ნავ, წ. ნავ.

ნანად, ნენა (დედა), ლეკ. ნინო.

ნაულელ, ნაღველი, ს. ნანღველ.

ნაყელავ, მოკლულ ნადირის თავ-ყელ-კისერი მისის
მკვლელის წილად.

ნაწეკ, დაკვნიწებული ბრინჯი; წეკვა, კვნიწება; კეურცხ
დაიწეკა, კვერცხი ნაკრავია; წეკა, ჩეკა.

ნელად, ჯიში ხეხილთა, რომლის ნაყოფი გვიან მწიფ-
დება; ადრეულად, ნელაზედ ადრეული, მაგ. შვინ-

-108-

დი ზოგია ნელა, ზოგი ადრეულა, აგრეთვე ად-
ნეპერ, ქაფი, პერი. [რეულა თხილი და სხ.

ნეარგ (მეარგ), მორგვი.

ნეუს, ნესვი.

ნეტა, ნეტავი, ნეტარ; მ. ნოტე, ს. ნატლავ [კიჭი.

ნიგორ, ნიორი, ს. ნივრა; ნაგრიკიჭ, ნივრის კბილი,

ნიკნიკა, კიკნია; ნიკაპ დაუყენებლად მოლაპარაკე.

ნინიმიად, ძროხა (საალერსო სიტყვაა).

ნიღნიღად, ჯუჯღუნა.
ოთქუმ, წელის ტკაცუნება, ჭკანტი.
ომოდ, ამო, ამოდი; ჩად, ჩადი.
ოსხად, ბარაქალა, ვაშა.
პანკლიან, წვირიანი, პანკვლიანი.
პაპად, მ. ბაბუ, ს. ბაბა, უ. ქალ-ბაბა, წ. ბაბა _ დედე.
პატა, ცოტა; პატპატა, ცოტ-ცოტა,
პატრად, პატარა.
პაშტად, პაშტაი, საკმაო. (იხ. რუსთავ.)
პირ, პირისახე; ყბად, პირი.
პირანღ, აღმა წასვლა; თავქუა, ქვემოთკენ წასვლა.
პირყუა დაჩლუნგებული (პირი ყუად ქცეული),
პაწიწად, პაწაწა, პიწწად, პაწია.
პუწიკა (პუწია), პაწია ხბო (საალერსო სიტყვაა).
ჟაგი, ჯერჯი, ჯაგი; ცახის ცოცხი
ჟანგო, ვითარცა: ქა ჯან ანუ ქა (გო შემოკლ. გოგო).
ჟევედ, მჟავე.
ჟევანად, მჟაუნა.

-109-

ჟენგრად, დაბერებული სვია.
ჟერგად, მწკრივი, რიგი, კვალი; ჟერგა-ჟერგა, რიგ-
რიგად; „ჟერგა-ჟერგა ბალებო, ლამაზ-ლამაზ ქა
ლებო“.*)
ჟინად, ზემო სართულის „ბალკონი“ (აღბად სიტყვად
გან ზენა, მეგრ. ჟინი, სვ. ჟიბავ).
ჟინჭარ, ჭინჭარი, მ. ჭუჭელი, ს. მერხელ.
ჟიჟნაყ, დაბეჟილი, ძვალ-რბილ გასწორებული.
ჟიდ, მჯიღი.
ჟორ, ჯვარი; ჟორ გაჭრად, ჯვარის წერა.
ჟრილ, ქვაბი რომ ვერ იტევდეს მოსახარშ რასმე.
ჟულ, რჯული სჯული (თუმცა-ღა ამბობენ ურჟუ-
ლო და არა უჟულო).
ჟუნვად, ჟონა.
ჟუნტად, სურდო.
ჟატ, ფურთხი, მ. ფურტინა, სვ. ნაშყ; შეაჟატა,
შეაფურთხა (დუჟი?)
რადზე (თ), რათ, რისთვის. [გეუბნება.
რადმ, რამე; მა რადსა, მაშ რა არი; რას გებნება, რას
რინგ, უღელი ძალთათვის რომ ვენახში ვერ შე-
ვიდნენ; დარინკა, უღელი დაჰკიდა, (რიკი?).
რიწყ, სარჩო-საბადებელი; რიწყს გაგიწყვეტ, ლუკმას
როყინ, კამეჩის ყროყინი. [მოგისპობ.

*) ჩარიგებულ ბლები
ლამაზ-ლამაზ ქალებო.

-110-

რეგუარა (ჰუგუარა), როგორ არა (რაგუარ არა).
სა (სადა), მ. სო, სოდე; სა არისა, სად არის.
საბზუედ, საბზუევე.
საგრილოდ, ქოლგა (თათრ.)
საფიცროდ, დასასაქმებელი ყმაწვილი ან კაცი; დაპ-
ვაზირა, შეუკვეთა; დავაზირებული, შეკვეთილი.
საზაზ, დასტამალი.
საზუედ, სარძევე თახჩა.
სათოლედ, სათვალე, მ. სათოლე, ს. სათალ.
საიკალ, ბოძკინტი, подпора.
საკან, დიდი კიდობანი, ბეღელი.
საკეკ, საკენკი; საკეკი-ქარ, შაკიკი.
საკეუს, კვესი; კეუსება, კვესება.
საკუწელ, სქელი ფიცარი, ხორცის დასაკეპ-დასანაყად.
საკმელ, საკმეველი, მ. ოკუმაფუ, ს. საკმელ.
საკუნზურ, მწვადებ აგებულ შამფურის დასაფიცხებე-
ლი სასთაული.
სალოკ, კლდიდგან მჟონავი მთის წყარო, მონადი-
რეთაგან დამლაშებული ნადირთა სალოკად.
სამარვან, სამაროვანი, სასაფლაო.
სამხტოდ, ზვარაკი, საღმთო.
სანაყელ, ავანგდასტა (სპარს.)
სახელად, სახლის გარეშემო წვიმის სადენი მცირე თხ-
სართხამ, ტყავების გასართხმელი ჭიგოები. [რილი].
სასტულ, სასთაული, ბალიში (სპარს.)
საფუარ, ხაში. მ. საფარი, ს. საფუარ.

-111-

საყორელ, საყვარელი.
სედრად, სერა.
სეულ, შრატი.
სეუველ (სეველ), სველი, სოველი,
სიზუედ, სიძე, მ. სინჯა, ს. ჩიჟე.
სიმარტლ, ზღმარტლი.
სიპ, სარქველი; სიპიქუად, სარქველის ქვა.
სართ, სერი მთისა.
სლანგ (წლანკ), თხელ-თხელი წვენი.
სლეუ, ხვლიკი, проворный.
სმინდ, სიმინდი.
სონილ, სანელებელი.
სტეუნა, სტენა, წ. სეით. [გელოზი].
სულისამღებელ, მომაკვდავის სულის მიმღებელი ან-
სულპურ, ალაპი, ორმოცის წირვა (სულის პური).
სუნაკ, მსუნაგი.
სურსულად, სირსველა.
სხალ მსხალი, მ. სხული, ს. იცხ, წ. ჯიხა.
სხოდ, სხვა, სხუა.

სხოპლად, სხვირპლი, сѣшь.

ტაბლად, მკვდრის კერძი.

ტაბლობად, ახალი მკვდრისა ანუ ძველთა მოსახსენე-
ტალახად, ელენთა. [ბელი ალაპი.]

ტანად, ხბო (რუსთავ. „ტანა – ჯორი“).

ტანკვეტ (ტანკიკი), მცირე კალათა.

ტანსომოზ, ტანისამოსი; ფეხსომოზ, ფეხსამოსი.

-112-

ტარბაკ, აპოხტი მსხვილი ნაწლევისა.

ტარ, თითისტარი.

ტატად, დიდი ტორი, მ. ტუკი, ს. ფაუ.

ტალად, блинъ.

ტეხეზად, ატყდომა; ნუ მეტეხეზი, ნუ მოტყდები, ნუ
ტეჰჰად, ტყეჰა; დამტეჰჰა, გამტყეჰა, [მყევები.]

ტიკად (წიკად), წიწილა (საალერსო სიტყვაა.)

ტიკი-ტიკი, წია-წია

ტეხად, კრიალოსანი ჩამიჩისა, სრიალა: ნიგვზისა. და-
ტიხა, ტიხეზი აასხა.

ტიხრი, მეტად მაგარი მიწა; ქუატიხრ, ქვატიხრი.

ტკეკელ, მტკეველი მ. ტკუ.

ტკეჰჰა (ტკეჰჰა), პირისპირამდის ჭედით ამოვსება.

ტოლ, წყებანი საჭიეში პარკის ჭიათათვის. ტოლტო-
ტომაც (ჩომაც), ჩომბახი. [ლი, წყება-წყება]

ტონი; რა ტონის კაცია, რაფერ ჩაცმულობის კაცია;

შავ ტონიანი კაცი და სხ.

ტორახუტ, კამა.

ტრედ, ტრედი, მ. ტორონჯი, ს. მუგვ (გვრიტი).

ტრიდ, გრძელკუდა (უდუმო) ცხვარი.

ტურად იხეჰ, მზიურად რომ წვიმს.

ტყელ, ბრტყელი;

ტყედ, უ. ჭალაგ, წ. ჭალაგ.

ტან, ტვინი. ს. თველ.

ულაყებ, შესაბმელი საქონელი.

უმბილ-უმარილოდ, უგბილი.

-113-

უმზრხხობად, წითელი პარასკევი (ვინც ამ დღეს დი-
ლით ადრე ადგება და უმძრახად ქლიავის ხის
ქერქს უკბენს, მას მისი ნაყოფი კბილს ვეღარ
მოსჭრისო).

ურწან, ცოლ-ქმრობის გემოს გაუღებელი ადამიანი,
ქალწული.

უღელ მ. უღუ, ს. უღვა, უ. ოყ, წ. ოქმ.

უჩულ, ავადმყოფს რომ ნაწყენი გამოაყრის.

უცან, ძაღლის საწამლავი (მცენ).

ფათალოდ, სურო (საბას ლექსიკ: „ელიანდრე, სუ-

ფათათურ, ხელთათმანი. [რო, ფათალო“).
ფალ) საბუდარი კვერცხი.
ფალასად, კაბაგრძელ კალთიანი; ფალასად, ფრთებ ჩამო-
ყრილი; დაფალასებული, ავადმყოფობისა გამო
ფრთებ-ჩამოყრილი ფრინველი.
ფანკაცად, гигантъ.
ფაროდ, ფთილა.
ფასალლიდ, блины.
ფაფაჩხალად (ფაფაჭყალად), ფლავი რომ ძირს _ ნაფ-
ხეკას გაიკეთებს.
ფაყაწად, ძღარბი; ალბად სიტყვიდგან ფაყ (ფაფაყ) და
წად (წადი). საბას ლექსიკ. „ფაყთა, თავზე და-
სახურავი“).
„ფაფახი ყირ არ მიჭრის“, არა მჯერა.
ფაყლად, ლობიო, ბაკლა, უ. ფახლა, წ. ბაყალი.
ფაშ, ფაშვი, ს. ფაშარ.

-114-

ფაცულიჰ, неряха.
ფეატ, ფეტვი, ს. ფატვ, წ. დიკ.
ფეყზედგომელ, офиціантъ.
ფიც, ფიცი, ფუცი; მ. ფუჩი.
ფლავ, უ. ფლავ, წ. ფლავ.
ფორ, ობი; დაფორება, დაობება.
ფარტ, ფილტვი, ფილტვი, მ. ფიჟვი ს. პერშვა.
ფუსტუყ, ფუნჩულა.
ფუჩ, ფუჭი. გაფუჩებულ, გაფუჭებული.
ფშუნვა, ფშვინვა.
ქათამ, მ. ქოთომი, ს. ქათალ, უ. კოკოწ, წ. კატემ.
ქად, რქა; მ. ქა, ს. ქარახს; ქებ გემეება, რქები გა-
ქამარ, წ. ქამერ. [მოება.
ქალმან, ქალამანი, უ. ქალამ.
ქარაცხორ, (საბას ლექსიკ: «ქარა, უყურო ცხვარი».
ქარსაკ, თავ-ქარიანი, несосредоточенный.
ქექერი, ღორის მსუქანი ტყავი.
ქერეჭად, სქელ-მოყომრალო კანიანი ნესვი, კერეჭ.
მარიამჭიისა და მისთანათა ზემო ფრთები.
ქითილად, ფურცლის პატარა ტოტები.
ქიჩინჩო, ჯიბლიბო, მ. ქუჩუჩი, ს. ბინბილ, უ. ბიბიკ.
ქოვქოვ, (თამაშობაა; ვისიმე ფაფახს მოთამაშენი წინ
წაიგდებენ და ფეხის ამოკვრით შორს აგდებენ).
ქომად, ცხელ ნაცრის ქვეშ გამოცხობილი პური
(შეადარე მეგრულს ქობალი, პური).
ქომოდთი, ქვემთი (ქვემოდგან).

-115-

ქომქომ, ქვემო მხრიდგან.

ქონდრიკაც, ქონდრის კაცი.
 ქულბად, დიდი ქურა.
 ქუჟომ, (საქუსალი?).
 ქურმუხი საყდრიმხ, ქურმუხის საყდარის მადლმა (ფი-
 ქურუხ, პირქუში, утрюмый. [ცილია).
 ქუქურდ, გოგირდი.
 ქუმუპპა, სკუპი; გურ. წკვერტა, მ. წკაპი, ს. ლი-
 ქუჩუ, ძაღლის დასამოშმინებელი ძახილი. [სკვნე.
 ღამედ, ღამე, წ. ჰხამ.
 ღაჭომ, ხაჭო.
 ღდედ, მღვდელი, მღდელი, მ. პაპა, ს. პაპ, ბაპ, ჩა-
 ღერობად, მღერა. [ჩნურ. მოძღურ.
 ღირღნა, ღრღნა.
 ღმერთ. მ. ღორონთი, ღაზურ. ღომორთი, ს. ღერბეთ,
 ღერმეთ, წ. ღინიშ, თავასარ. ღუცარ, ოსურ.
 ხუცაუ, ჩაჩ. დელი.
 ღმერთიმა, ღმერთმანი (ღა ასრევე ფიცილი: ზისმა)
 (მზისმანი *).
 ღმეტ, გარდა; იმი ღმეტ, იმის გარდა.
 ღინჭილოდ, ღვინჭილა.
 ღლივანწ, სუსტი და წვრილად ტან-აყრილი.

*) თქმა: „თამარის მზემა“, „შენმა მზემა“ და სხ. ალბად
 ნაშთია იმ დროისა, როდესაც ქართლოსიანნი თავყვანს სცემდნენ
 მზეს.

ღულ, წვრილ-კბილა ნამგალი. (ღულამე)
 ღურბელ, ღრუბელი.
 ყაპყაპი, ურიის ყვაავი.
 ყალად, ჭოლოვი.
 ყალადან, (საბას ლექსიკ. „ყალადან, უგვარო, მაღა-
 ლი და სუსტი“).
 ყახაჟ, ცხვრის ლორი.
 ყელ, ყელი, ს. ყიფ უ. ყოყ.
 ყინტორად, (მცენ.); გაყინტრა, ერთი მოსმით გადა-
 ყლუფა, ბრტყენა, ს. ლი-ბანტყორი. [კაფა
 ყოვ, ყვაავი, მ. კვარია, ს. ღვამალ, უ. ღაიღნა,
 ყოვმურა (ზღაპრებში), ყვანჩალია.
 ყოვიჭყანტად, ყვითელ ყვაავილებიანი ბალახი.
 მორავად, ისვრიმი.
 ყოყომ, მაღალ-მაღალი და ყელყელა კაცი.
 ყროლ (ყრალ), მყრალი, ს. ყრალ; აყროლა, აამ-
 ზორა, აამყრალა (აამზორა სიტყვიდგან მზომ-
 ყობუჟ, კობუნჯი. [რი).
 ყორყოტ, წერო, ღერღეტი.
 ყურ, ყური, წახ. კპრი.
 ყურბელად, ბოსტანა.
 ყყყ, ღრმად მოხუცი კაცი (დაცინვის კილოის სიტ-

შანგლა, არეულ-დარეულად მითიბგ-მოთიბვა. [ყვაა).

შაჰ, შაბი.

შარანდელ, შარშანდელი; შარს, შარშან.

შაშ, შაშვი, უ. ჭაჭი.

-117-

შეუკ, საზამთრო ნესვისა და მისთანათა მიწაზე გრძლად
გართხმული ღერო.

შეუნიერ, შევნიერი.

შეფ, შედი; შომიფ, შემოდი.

შედლ (შედტან), შეიტანე.

შეშტრანგ, შანთრანძი.

შეცნევა, დაფარულის მიხვედრა; შეგაცნივ, ნაძლევი
მოგიგე) „აიდოსტ“.

შადობით, შვიდობით, ს. შვიდეზდ.

შიბი, წრე ქსოვაში (ნახე საბას ლექსიკ.)

შეტრიკ, ცუნცრუკა.

შიშად, შეშა; მ. დიშქა, ს. ზექ, უ. უშ, წ. ოს.

შიდანწლ, შვიდანწლი.

შილ, შვილი, ე. ი. მხოლოდ ვაჟი: ორ შილ მყავ,

ორი ვაჟი მყავს; ორ ქალ მყავ, ორი ქალიშვი-

შინდ შვინდი; შინდრიან, შვინდნარი. [ლი მყავს.

შიფრობად, ცეკვა (საბას ლექსიკ. შუშპარი).

ჩად, ჩადი; ჩომოდ, ჩამო (-დი).

ჩალღუფ, ცელი, ს. მერჩილ.

ჩარჩაკ, ჩარსავი.

ჩაფარ, ყავრის ლასტი.

ჩად, გვიძრა, ჩადუნა.

ჩააკუსკუსა, მწყაზრად და საყვარლად მოიუბნა; ჩა-

კუსკუსება, держать увлекательную рѣчь. (შეად.

ფშაურ-ხევსურულს „მეკუსება“).

ჩაცუნცება, ჩაცუცქება.

-118-

ჩაქულ, ფურცლის დაბალი ხე.

ჩაღარღანა, არხზედ გაკეთებული ჩახრიალა.

ჩაჰპაკანი, პატარძალის ოჯახის წილი გაგზავნილი
ნეფისაგან.

ჩაჰკრა, მოულოდნელად რამე წილად ჰხვდა. ჩავკარ,
ბედმა გამიღიმა და წილად მხვდა რამე.

ჩილაგ, ჩლაგი, უერბოვო ფლაგი.

ჩინკერ, გამოწურული და გამომშრალი ხორცი და
მისთანანი. [ხვრეტა.

ჩორკ, წვრილი და გრძელი ცული; ჩორკნა, ჩორკით
ჩომოხეთქულ, მეწყერ წამოსული ადგილი მთისა.

ჩუპედ, ჭიპი, ჩუბუტო (ნახე საბას ლექსიკ.)

ჩულურ, ჩავარდნილი ადგილი (ჩულურეთი).

ჩუჩაყ, ჩინჩაყვი.
ჩსა, კაჩხა, ხაშალკა.
ჩხილ, ფრჩხილი, მ. ბირცხა, სვ. ცხა.
ჩხანკ, ჩხიკვი.
ცად, ცა, ს. დეც.
ცირიხ, ელამი.
ციცად, მშიშარა, გაუბედავი.
ცან, ცვილი, წმინდა სანთელი.
ცხენიმგეალ, ცხენის გველი (ფერთ წითელია და
მეტად შხამიანი).
წაბლ, მ. ჭუბურ, უ. წაბულ, წ. წაბულ.
წაგილ, მოგიგე, დაგძლიე,
წალდ, მ. ბურჭული, ს. წალდ, უ. კოროპ, კირაპ.

-119-

წაპრ (ზაპრ), ძაბრი.
წარაბაკანად, ღობემძვრალა ჩიტი. საბა სწერს: „წრა-
პაკანი ყოველთა სირთა უმცირესია.
წაფა, წევა, გაწევა; გაწაფული, გაჭიმული. (მოწაფე?)
წაღან, წეღან; წაღანღელ, წეღანღელი
წელ, წელიწადო, მ. წანა, ს. ზა, უ. უსენ, წ. სელ.
წეულა, წველა (მაწონი); სწეულავს, სწველის.
წეურ, მწვერვალი; წეურ, წვერი, ს. ვარე (და აქედ-
გან ვარსიმი, დალაქი).
წეუბელი, წუხელ, წ. მიჭახტა, მწუხრი.
წიგიპ-წიგი (ჭუჭუ!), ჯუჯუ!
წიკანა-ბალახ, შირაქის ბალახი. [წილეზად.
წივაწივა, ხე რომ ადვილად გაიპატრება მრავალ ნა-
წილვა; კიტრ დაწილა, რაც კიტრი იყო დიდწვრი-
ლიანად მოკრიფაო; წილ, ახლად გამოზმული
წიკომ (ციკან), თიკანი, ციკანი, წახ. წეპ. [კიტრი.
წინდად, უ. წინდაკ, წ. წინდა.
წინკერ, კენწერო-კინწირო; წინკერენა (ზღაპრებში),
ფრინველი, კენწერ-კენწერ მიმომფრინავი.
წინტუ-ტუ, (ფრინ.)
წიპლანკ, მეტად წვრილი, წერწეტი.
წიწილად, კოწოლი, დალალი, კავები, მაწაკი, (წიწილს
ჭუჭულს ეძახიან).
წკინვა, ბრწყინვა, მ. წკინუა, ს. კჰრი (შეად. კრია-
წკლინტ, სკინტლი. [ლა).
წკლუნტ, აბრეშუმის ჭიის განავალი.

-120-

წკიპარტლ, წკიპურტი.
წნეხა, გრეხა წნელისა, ვაზისა და მისთანათა, საქმედ-
დაწნისა, საქმე გააბრუნდა, სიმართლის გზიდან
წოდ, მწვადი, ლეკურ. წოდ. [გადიყვანა.

წოვოდ, მწვავე.
წუმპალ, დიდი წვეთი.
წუმწუმად, ალთაფა (თათრ.).
წამად, წვიმა, მ. ჭვიმა, ს. უჩხა. (ს. ლექსი „ისხარი,
წაწლასტ, წოწოლა. [ჩქარი წვიმა“).
წეილ, რწყილი, მ. წეილი, ს. ზისქ.
ჭანკა, ლეკთა აზნაური.
ჭიმ, მიწ ბალახიანათ აჭრილი ბართა, дернх.
ჭინჭიმა, მაჟალო, პანტა.
ჭიყჭიყა, ყიჭყიჭა.
ჭიჭნაგურ, ძეხვი-აპოხტი.
ჭიჭნაური, (საბას ლექსიკ: აბრეშუმი (სპარს.)
ჭკილ, ჩლიქი, ჭლივი, მ. ჩირქი, ს. ჩილქ.
ჭლივ-ჭლივი, ჭიკჭიკი მერცხლისა და მისთანათა.
ჭრედ, მჭრელი.
ჭორტკლ, მჭვარტლი.
ჭოლ, მჭვალი.
ჭროხ, ჭროლა.
ჭულუკ, ცელქი.
ჭურმაჭუჭუხ, წვრილმანი და ჯოღლო-მოღლო ხალხი.
ხარტკა, ქვევრის გარეცხვა, ვიდრე გაწითლდებოდეს.
ხახ, მ. ხარხვი, ს. ხახვ.

-121-

ხახრად, სარკმელი.
ხაჭეკალ, საეკლე ორთითი.
ხედ, ხე; მ. ჯა, ს. ზექ, მეგამ.
ხივხივობს, ვადნაჩრობით სცხოვრობს.
ხოვ, ხვავი, მ. ხვე, ს. ლუ-ზვერ.
ხრალ, ფურცლის (ჩაქულის) სხვილი ტოტები (ნახე
ხუალ, ხვალე [საბას ლექსიკ.)
ხუთულ, ხუთი ხელეური.
კალეზად, ხრაკვა; მოწალეებულ ქათამ, მოხრაკული ქა-
თამი (საბას ლექსიკ. „წალვა, მარცვალთ შეწ-
ვა;“ დაამხალა, დასწვა-დასდაგა, მწვავედ სცე-
ვარზაზად, გარეული მტრედი. [მა.
ჯარი, მ. ხოჯი, ს. ჯან.
ჯაფჯაფი, ძლიერი დუდილი.
ჯევ, ხევი, უ. ხე (წყალი), წ. ჰქან.
ჯელეველ, ხელეური.
ჯელმანდილ, მანდილი, ს. ჯისმანდ.
ჯემწიფედ, მ. ხენწიფე, ს. ჯელწიფე*)
ჯერჯალ, ხორხალი.
ჯინცვა, შეჯინცვა, მჭიდროდ ჯდომა ადამიანთა.
ჯმოზად, ს. მანგა, ვაი.
ჯნა, ხვნა, მ. ხონუა, ს. ლი-ჯნი.

*) ხელს მეგრულად ჰქვიან ხე და ამიტომაც ხან ითქმის ხე-მწიფე და ხან ხელ მწიფე.

წულ, ხნული (ნახნავი), მ. ნახონა, ს. ლი ჯან *)
ჯოცა, ხოცვა, ს. ლი-ჯცე.
ჯრუალ, მხურვალი.
ჰაბა, აბა; ს. იაღო, უ, ბეღა.
ჰადულ, ადვილი.

*) მაქს მიულერი სწერს (Наука о мысли, გვ. 309 _ 310):

„ფესვი khan ნიშნავს თხრა-ბარვას, და ფარგალი მისის მნიშვნელობის იზომება ცნებებითა: თხრა-ბარვა, წყლა, ოხრება-შეკვრა, ბარი, თავვი, ორმო, ჭა, ცა, არა რა. khan გამეორებული ფესვია და kh თავდაპირველად უნდა ყოფილიყო sk. ფესვი skan არ ყოფილა სანსკრიტულში, ხოლო kshamt, რომელიც მისი მაგიერია, ნიშნავს წყლას, წყენინებას; ამავე დროს ფესვი Rha (ska) ეკავშირება skan-ს, რომელიც ნიშნავს ჭრას.

„ახლა თუ ავიღებთ ფესვს khan არა მხოლოდ თხრის, ე. ი. ჭრის, ნიადაგის კვეთის მნიშვნელობით, არამედ საზოგადოდ ჭრა-კვეთის მნიშვნელობით, მაშინ შეგვეძლება ავხსნათ მისგან წარმოებული სიტყვებიც:

1) მომქმედის აღმნიშნელი სიტყვები: khana, khanaka (მთხრელი, ქურდი, თავვი, თხუნელი, ულაყი ცხენი, canalis, (cuniculus), khani, khanitar, akhou (თხუნელი, თავგო, ღორი, ქურდი).

2) მოქმედების აღმნიშნელი: khanana, khati.

3) იარაღისა: khanayitri (ბარი), khanitra (გრდემლი), khatra.

4) შედეგი მოქმედებისა: khana (ორმო), khani (ქანი), khata (ორმო, ჭა), კეტოს, კეტოსის, სკატა (ქვაბი), kha ჭა, წყარო), kha (სიღრმე, ორთქლი, ეთერი, არარაობა).

5) დათხრილი ადგილ: khana“.

ჰადსა (რადსა), რა არი.
ჰაკაკ, აკაკი (მცენ),
ჰაჩიჩად, აჩეჩი, კავი
ჰე, ეგე; ჰეგ, ეგ. ჰემგამ, ე მაგან.
ჰემენია (რემენია), რომელია.
ჰიშ! ხარის გასარეკი ხმა.
ჰერ, იარე.
ჰოვჰა! ჰოო-ჰო!
ჰომობს, ისწრაფის გზა გაიკაფოს, იბრძვის.
ჰელვად, ელვა; მ. ვალუა, ს. ლიჰლალი.

მიულერის თქმით, თავდაპირველად ყოფილა 121 ფესვი და ამათგან, ზემო მოყვანილ სახით, გამდიდრებულა ენა.

ამავე კანონის მიხედვით, ალბად, ჩვენებური ხვნა-დამ წარმოებულან:

ა) სიტყვანი, აღმნიშნელნი მომქმედთა: მხუნელი (კაკ-ელისენშ: წხულ) თ-ხუნელი, ჯარი, მეგრ. ხოჯი, სვ. ჯან.

ბ) სიტყვანი სამოქმედონი: ჯნა, ხნვა (ხუნა), მეგ. ხონუა, სვ. ლი-ჯნი;

გ) სიტყვანი საიარალონი: სახნისი, მეგრ. კინა-ხონა, სვ. დენცვიშ (დენწვიშ); (ალბად ერ-ქუანი-ც, ოქოქაც და აჩე ჩაც წარმოსდგა სიტყვებიდამ ქექვა, აჩეჩვა).

დ) სიტყვანი, აღმნიშვნელნი შედეგისა: ხნარცვი (ჯნარცვი),

ე) სიტყვანი, აღმნიშვნელნი ადგილისა: საჯნავი (ნახნავი), ხნული, მეგრ. ნახონა, სვ. ლი-ჯან (კაკ-ელისენში მოჯან.= მოხანი).

კაკ-ელისნურად	მეგრულად	სვანურად	უღურად.	ლლილურად. (ინგულურად)	ყუბაჩურად	წახურულად
ერ, ერთ, [ცალ	ართი	ემრუ	სა	ცა	სა	სა
ორ	ჟირი	ჰერი (ჰერი)	პა	ში	კვი	ყიბლე
სამ	ოთხი.	ვოშთხვ	ხიბ	წი	ყებ	ხეიბლე
ოთხ	ხუთი	ვოხვიმდ	ბიპ	წოპ	ოღ	ყეიბლე
ხუთ	ამშვი	უსგვა	წო	დიპ	ხუ	წიბიბლე
საქს	შქვითი	იშგვიდ	უწ	ფხიპ	ქქ	იდიბლე
შად	რუო, ზრუო	არა	ვუღ	ჰელხ	კა	მოლიბლე
რუამ	ჩხორო	ჩხარა	მუღ	ვორ	უქუნ	ჰაქუბლე
ცხრამ	ვითი	იემდ(ჰემდ)	ვუღ	ზარ	ვიწ	ჰიწიბლე
ათ	ვითართი	იემდუშვი	ვიწ	ის	ვიწუსა	ჰიწუსაბ
თერთმეტ	ვითოჟირი	ჰემდერცი	საწე	ით	ვიწუსკ	ჰიწუსკაბ
თორმეტ	ვითოსუმი	ჰემდესემი	პაწე		ა	ჰიწიქებე
ცამეტ	ვითანთხი	ჰემდვოშთვ	ხიბეწე			ჰიწიქეყაბ
თოთხმეტ	ვითოხუთი	ხ	ბიპეწე			ჰიწიქაბბ
ხუთმეტ	ვითოამშვი	ჰემდვოხვიშ	წოწე			ჰიწიხაბ
თექსმეტ	ვითოშქვითი	დ	უქწე			ჰიწიგაბ
შადმეტ	ვითორუო	ჰემდუსგვა	ვუღწე			ჰიწუმა-
რუამმეტ	ვითოჩხორო	ჰემდიშგვიდ	მუღწე			[ლებ
ცხრამმეტ		ჰემდარა				ჰიწიჰაჰაბ
ოც	ეჩი	ჰემდჩხარა	ვუღწე		და	ყაბლე.
ოცი და	ეჩიღორთი	ჰერვემდ	ყა	ტყპ	დანუსა	ყაბსაბ
ერთი	ეჩიღოვითი		საყოსა		ყებწალ	ქებწაი
ოცი და ათ	ჟარწეჩი	სემემდ	საყოვიწ	ტყეით	ოღწალ	სეყაბ
ორმოც	ჟარწეჩიღო-	ვოშთხვემდ	პაყო		ხუწალ	ხოწალ
ორმოცი და	[ვითი	ვოხვიშ-	პაყოვიწ			ჰიხწალ
	სუმანეჩი	[დემდ	ხიბყო		ექწალ	ჰიღწალ
[ათ	სუმანეჩი დო	უსგვაამდ	ხიბყოვი		ვეწალ	
სამოცი	[ვითი	იმგვდამდ	წ			მოლოწალ
სამოცი და	ოთხონეჩი				კაწალ	ჰაქალ
	ოთხონეჩი	არაამდ	ბიპყო		სქუმწა	
[ათ	[დო ვითი	ჩხარაამდ	ბიპყოვი		ლ	ვამ
ოთხმოც	ოში		წ			ააზირ
ოთხმოცი	ანთასი	ამირ	ბამ	ბეეპ	დამ	
და		ათას	ჰაზარ	ითბაე	აზი	
[ათ						
ას						
ათას (მინ)						

მ. გ. ჯანაშვილის-მიერ

შედგენილი და ანუ გამოცემული წიგნები:

ა) საქართველოს ისტორია, მეორე გამ. გვ. 503. ფ. 70 კ.

ბ) საქართ. საეკლესიო ისტი (მწყემსის გამოც.), გვ. 152, ფ. 45 .,

გ) ისტ. მართლ-მადიდებ. ეკკლესიისა. ფ. 40 კ.

- დ) საუნჯე მეთე საუკუნისა გვ. 53 ფ. 20 კ.
- ე) აღვადგინე! გვ. 136 ფ. 30 კ.
- ვ) მწერლობა მეთე საუკუნისაი გვ. 48. ფ. 40 კ.
- ზ) სამცხე (ვახუშტისა) გვ. 118. ფს 45. კ.
- წ) ქართლი (ვახუშტისა) გვ. 114 ფ. 25.
- თ) მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანი ფ. 10 კ.
- ი) ათას ერთი ღამე (თარგმანი) გვ. 76, ფ. 40 კ
- ია) მერცხლის ბუდე. (თარგმანი).
- იბ) შოთა რუსთაველი. გვ 183, ფ. 40 კ.
- იგ) ზამბა და მისი მოვლა („მეურნის“ გამოც.), ფ. 15 კ.
- იდ) Картвельскій языкъ и стравнит. грамматика его
(შეიძინა სამეცნიერო აკადემიამ).
- იე) ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი (დაიბეჭდა ცოტა).
-